ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

21 მაისიდან!
„ახალი თაობა"
+
პატრიარქები
8 ლარი




პარასკევი, 24 მაისი, 2013 | №121 (6122) | ფასი: 30 თეთრი

# შსს-მ ორ სასულიერო პირს ბრალი წაუყენა

გვ.3



ჯონდი ბაღათურია: „მღვდლების დასჯა სამარცხვინო საქციელია"

## დღეს დედაენის ბაღში ცემა-ტყეპაა მოსალოდნელი



გვ.3



გვ.4

## დავით ბაქრაძე: „ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციის განადგურება სურს"



გვ.2

## ნანა კაკაბაძე: „თუ ვინმე ზის ციხეში, მერაბიშვილიც უნდა იჯდეს"

„მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც ნაციონალების ყველა ქმედება ვიცი"

## ვანო მერაბიშვილის მეუღლე საქართველოში დაბრუნდა გვ.5

## ჯემალ ტყეშელაშვილი: „ვანო მერაბიშვილმა სახლი წამართვა"

გვ.5



## ივანიშვილმა ნოდარ ხადური გააკრიტიკა

გვ.4







გვ.6

## გიგი უგულავა: „ჩვენ ციხის არ გვეშინია"

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** დიმიტრი შაშკინი: „ორთვიანი დაკავებით მერაბიშვილისნაირი პოლიტიკოსი პოლიტიკიდან არ გაქრება"

**6** ნარკობრუნვის გამოვლენის მიზნით, აეროპორტში უწყებათაშორისი ჯგუფი იმუშავებს

**3** საპატიმროში მიღებული ტრავმებით კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

**5** „გთხოვთ, ნუ აგვაცდენთ გზას!"

# ნანა კაკაბაძე: „თუ ვინმე ზის ციხეში, მერაბიშვილის უნდა იჯდეს“

## „მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც ნაციონალების ყველა ქმედება ვიცი“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

*— ქალბატონო ნანა, გუშინ თქვენ მოვლენების ეპიცენტრში იყავით ქუთაისში. ვნახეთ, როგორი ოვაციებით შეხვდა საზოგადოება ვანო მერაბიშვილის დაკავებას. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის შეფასებები?*

— როგორ გითხრათ, თქვენ იცით, რომ საზოგადოებაში ძალიან სერიოზული უკმაყოფილებაა იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლიანობა ქვეყანაში არ არის და მიუხედავად იმისა, რომ იყო დაპირება სამართლიანობის აღდგენისა, ხალხს ეს დეფიციტი დღესაც ნამდვილად გააჩნია. გუშინ იყო დღე, როდესაც ხალხს გაუჩნდა იმედი, რომ აი, დაიწყო სამართლიანობის აღდგენა და მართლაც, რაღაც არნახული ინტერესი და ოვაციებით შეხვდნენ. თითქოს გაუგებარია, რომ ადამიანის დაპატიმრებას ასეთი ოვაციებით შეხვდე, მაგრამ ეს გასაგებია იქიდან გამომდინარე, რომ მე თვითონ ოთხი ხელისუფლების გამოცვლას მოვესწარი: კომუნისტების ხელისუფლებას, მერე ზვიად გამსახურდიას, მერე შევარდნაძის ხელისუფლების გამოცვლას და ახლა სააკაშვილის. მსგავსი დამოკიდებულება, მსგავსი სიძულვილი, რაც ამ ხელისუფლებამ დათესა საზოგადოებაში, მე რა ხელისუფლებაც გამოვიცვალე, არც ერთ მათგანთან ასეთ სიძულვილს არ მოვსწრებივარ. ეს იყო მართლაც საძულველი რეჟიმი, რომელმაც ხალხს სიცოცხლე გაუმწარა. ქართველი კაცის ბუნებაში ყოველთვის არის დაჩაგრული ან შეჭირვებული ადამიანის თანაგრძნობა, ამ ხელისუფლებამ ისეთი სიძულვილი გამოიწვია ხალხში, რომ ის თვისება, რაც საქართველოში არის, თქვენ იცით, რომ კრიმინალებსაც კი თანაუგრძნობდნენ, როდესაც მათ იჭერდნენ, ამათ მიმართ არ აქვთ. მსოფლიო გაოცებული იყო ჩვენი საზოგადოების ასეთი ადამიანური და ჰუმანური დამოკიდებულებით. ეს არის ერთადერთი პრეცედენტი, როდესაც მთელი საქართველო ელის ამ მართლაც კრიმინალების გასამართლებას. არც თუ ისე პატარა დროში, 9 წელი იყვნენ, მაგრამ ამხელა სიძულვილის დათესვა როგორ მოახერხეს? რა არ აკეთა ამ ხალხმა, ამათ სასამართლო პროცესიც არ სჭირდებათ. უყურეთ ხალხს, რა დღეში არიან და მიხვდებით, რა აქვთ ჩადენილი ამათ ამ წლების განმავლობაში. სწორედ ეს დღე იყო გუშინ, როდესაც მე ვხედავდი, რომ ხალხი იყო ბედნიერი, იმედი გაუჩნდათ, რომ ის, ვინც ხალხს აწამებდა, ვინც სულს ხდიდა, ხალხი მოუთმენლად ელოდა, დაიწყებოდა თუ არა ამ ჯალათების დაკავება-დაპატიმრება. იგივე მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის პროცესი მათთვის იყო ლაკმუსის ქაღალდი, რომ აბა, რა მოხდება ამ პროცესზე.

*— თქვენთან ერთად ამ აქციაზე პოლიტპატიმრებიც იმყოფებოდნენ...*

— დიახ, ჩვენ პოლიტპატიმრებსაც გაუჩნდათ სურვილი, ჩასულიყვნენ და ენახათ, რა ხდებოდა იქ. ვინაიდან მათ გადაწყვიტეს წასვლა, მეც წავედი, რომ იქ რაიმე პრობლემებს და ექსცესებს არ ჰქონოდა ადგილი. თქვენ იცით, რომ ნაციონალურ მოძრაობას პოლიტპატიმრების მიმართ აქვს აკრეფილი ეს სიძულვილი, იმიტომ, რომ ესენი არიან სწორედ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მტკიცებულება იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა იყო რეჟიმი და, ბუნებრივია, ამ გადახარშვას ისინი ვერ ახერხებენ. ჩავედით იქ და ვნახეთ რა ხდებოდა. მთელი ქუთაისი მოდიოდა და მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ იყო საშინელი მზე, სიცხე, ხალხი არ იშლებოდა, იყო ეზოში და ელოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ნაციონალური მოძრაობისგან კეთდებოდა განცხადებები, რაც აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ დღეს მათ სხვა არაფერი დარჩენიათ,



გარდა იმისა, რომ რაღაც პროვოკაციები მოაწყონ და ამ პროვოკაციებით იტივტივონ ზედაპირზე და თავისივე მოწყობილი პროვოკაციები სხვას გადააბრალონ. ანუ თავი წამებულის პოზაში ჩაიყენონ. ეს არის დღეს მათი პოლიტიკა.

*— ქალბატონო ნანა, მათ განცხადებებს რაც შეეხება, ჩვენ ვისმენდით თქვენი მისამართით მსგავს განცხადებებს — ნანა კაკაბაძის საძმო, კაკაბაძის ბანდა სამოქალაქო ომის პერიოდში გვაბრუნებსო და ასე შემდეგ...*

— ვირისგან წიხლი რა საწყენიაო, ზუსტად ეგ დამოკიდებულება მაქვს ნაციონალური მოძრაობის გამონათქვამებზე. იცით მათი საუბარი და განცხადებები არ არის გათვლილი ქართველ ხალხზე და საქართველოს მოსახლეობაზე. ისინი ამ სისულელეებს ქართველ ხალხს კი არ ელაპარაკებიან, მათ ქართველ ხალხთან საუბარი დაამთავრეს 2003 წლის რევოლუციის დროს, როდესაც მოვიდნენ ხელისუფლებაში და ძალაუფლება აიღეს. მერე ქართველი ხალხი მათ საერთოდ არ გახსენებიათ, არ გახსენებიათ მათთან საუბარი და მათზე გათვლილი პოლიტიკა. ჰა, ჰა, არჩევნების დროს, რამდენიმე დღე იხსენებდნენ ხოლმე ამომრჩეველს და დამთავრდა. დანარჩენი ეგენი ესაუბრებიან ქვეყნის გარეთ, სადღაც ცხრა მთას იქით თავიანთ მფარველებს. მაგათი განცხადებები გათვლილი არის იქაურობაზე და არა აქაურობაზე. ამ სისულელეებს, თქვენი აზრით, აქაური მოსახლეობისთვის აკეთებენ? არა, ამას აკეთებენ დასავლეთისთვის, რომ აი, ხედავთ, ვიღაცა კრიმინალები და სახელმწიფო გადამტრიალებლები. ჩემს ოფისში რომ ცხოვრობდნენ და იქ იყვნენ 24 საათის განმავლობაში 2003 წლამდე, მაშინ არ იცოდნენ სახელმწიფო გადამტრიალებელი თუ ვიყავი?! მართლა სახელმწიფო გადატრიალება თვითონ მოაწყვეს 2003 წელს. საერთოდ სიტყვა როგორ უბრუნდებათ სახელმწიფო გადატრიალებაზე. კიდევ გეუბნებით, ამას ეგენი ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის კი არ საუბრობენ, ამ განცხადებებს აკეთებენ დასავლეთისთვის, რომ არიან დაჩაგრულები, არიან რეპრესირებულები, ვიღაცა კრიმინალები ებრძვიან მათ. 11.018 დაზარალებულის ხელმოწერა შევაგროვეთ მარტო სპორტის სასახლეში, რომელსაც ახლა ვარეგისტრირებთ, კომპიუტერში შეგვყავს. მობრძანდით და ნახეთ ეს ადამიანები, ძალიან მარტივი გადასამოწმებელია, ვინც გაიარა რეგისტრაცია. ბევრმა კიდევ დარეგისტრირება ვერ მოახერხა, ბევრი ახლა რეგისტრირდება. რა, 11.018 კრიმინალი იყო შეკრებილი იქ? ამათ გასამართლებას რომ თხოულობდა და ამათ პასუხისგებაში მიცემას?! ეს რიტორიკა არის ქვეყნის გარეთ, ვიღაცებზე ზემოქმედებისთვის, რომ შემდეგ დასავლეთმა ეს დღევანდელი ხელისუფლების ზეწოლისთვის გამოიყენოს.

*— დასავლეთი შეშფოთებულა ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებით...*

— ეს დასავლეთის სტანდარტები ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. მე ვუსმენდი სხვადასხვა ექსპერტების გამონათქვამებს დასავლეთში და სერიოზული პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, როდესაც ორმაგი სტანდარტები აქვთ და თანაც ასეთი მიკერძოებული სტანდარტები. იცით რა მინდა ვკითხო იმ ექსპერტებს, რომლებიც დღეს განცხადებებს აკეთებენ — სულხან მოლაშვილი რომ აწამა 2003 წლის დეკემბერში სააკაშვილის რეჟიმმა, მაშინ სად იყო ეს ხალხი, ხმა რატომ არ ამოიღეს?! სხვათა შორის, მოლაშვილის წამების ფაქტები მაშინ მე გამოვიტანე ციხიდან და ახლა შემთხვევითი კი არ არის, ნანა კაკაბაძე რომ ჰყავთ ამოჩემებული და ნანა კაკაბაძეს რომ ატრიალებს ყველა ბრუნვაში ნაციონალური მოძრაობა, იმიტომ, რომ ზუსტად იცის, რომ მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც ყველა მაგათი ქმედება ვიცი; ყველა მაგათ ქმედებას ადეკვატურად ვპასუხობდი, როდესაც არასამთავრობოების აბსოლუტური უმრავლესობა უნისონში ვითომ დემოკრატიაზე რომ ზრუნავდა და დემოკრატიულ ცვლილებებზე რომ საუბრობდა, ჩვენ გამოვდიოდით და ვლაპარაკობდით, რომ საქართველოს ციხეებში წამებები დაინერგა, რომ საქართველოს ციხეებში ხალხს კლავენ და რომ არიან პოლიტპატიმრები. მე ვიყავი ის ადამიანი, მათია იორშს და ტერი დევისს რომ გადავეცი 432 კაცის წამების ფაქტები მათი მოსვლიდან ექვს თვეში და, ბუნებრივია, ეს ყველაფერი რომ იციან, შესაბამისად რეაგირებაც იმიტომ აქვთ ნანა კაკაბაძეზე. მე ვიყავი სულხან მოლაშვილის ფაქტები, რომ გავახმაურე. ეს იყო პირველი გალაწუნება ამ ხელისუფლებისთვის 2004 წელში. როდესაც მთელი ევროსაბჭოს ექსპერტები საქართველოში იყვნენ ჩამოსულები და პარლამენტში სხვადასხვა შეხვედრებს მართავდნენ, 36 წევრს დავურიგე ხელში წამების ფაქტები სულხან მოლაშვილზე. ერთ-ერთმა მაინც გააკეთა განცხადება და შეფასება?! როგორ უნდა ირწმუნო ამათი ობიექტურობისა?

*— ორმაგი სტანდარტები აქვს დასავლეთს?*

— აქვს, აბა არ აქვს?! დღეს ვანო მერაბიშვილის კანონიერ თუ უკანონო დაკავებაზე საუბრობენ, რა ნაკლები თანამდებობა ჰქონდა სულხან მოლაშვილს? კაცი კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო, რა, ეს არ იყო თანამდებობა თუ რაში იყო საქმე, ერთი განცხადება რომ არ გაუკეთებიათ?! ერთი განცხადება არ გაუკეთებიათ დათო მირცხულავას წამების ფაქტზე, კაცს ნარკოტიკი გაუკეთეს და შოკში ჩაუვარდათ, უნდოდათ, რომ წამალზე დაესვათ... აღარ მინდა ახლა ამ დეტალებზე საუბარი, რა არ უქნეს ხალხს. ხმა ამოიღო იმ დემოკრატიულმა დასავლეთმა მაშინ?! აკეთებდნენ განცხადებებს?! დღეს არიან დემოკრატები? ამიტომ არის, რომ ჩვენში ნიჰილიზმს ბადებს ასეთი დამოკიდებულება. ამნეზია კი არა აქვს ქართველ ხალხს, ძალიან კარგად იციან, 9 წლის წინ სახელმწიფო გადატრიალება როდესაც მოახდინა ნაციონალურმა მოძრაობამ და მოვიდა თავისი ანტიდემოკრატიული მეთოდებით და კანონებით, რა შეფასებებს აძლევდა დასავლეთი და დღეს თუნდაც ის მორჩა, რომ ციხეებში დამთავრდა წამება, თუნდაც ის მორჩა, რომ ევროპაში ნომერ პირველი ქვეყანა აღარ ვართ პატიმართა რაოდენობით დ ხალხს აღარ ეშინია ქუჩაში გამოსვლა და თავისი პოზიციის დაფიქსირება, ამ დროს ლაპარაკობენ ესენი ზეწოლებზე? მე იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ხელისუფლება, უი, რა კარგია და იდეალურია, ყველა ხელისუფლებას აქვს პრობლემა, მაგრამ მათ მიდგომაზეა საუბარი, დასავლეთის იმ ნაწილის მიდგომაზე, რომელიც მაშინ ყურს არ იბერტყავდა, ამ ყველაფერს ფარავდა, ჩქმალავდა, ხელს უწყობდა საქართველოში წამებებს, ღირსების შემლახავ მოპყრობებს თავიანთი გამონათქვამებით. დემოკრატიის შუქურააო, რომ გაიძახოდნენ საქართველოზე, მაშინ, როდესაც გირგვლიანის დედას გარდაცვლილი შვილის გაციება არ აცადეს და სააკაშვილი დემოკრატიის შუქურააო, ეუბნებოდნენ ირინა ენუქიძეს და ზურაბ ჟვანიას ცოლს. სირცხვილი იყო ის, რაც მათ აკეთეს იმ პერიოდში და დღეს რას აკეთებენ? ვანო მერაბიშვილზე, რომელიც 26 მაისის, 7 ნოემბრის, ამ ყველაფრის თანამონაწილე და შემოქმედი იყო, ამ ადამიანის დაკავებაზე იღებენ ხმას და იძახიან, რომ რატომ დააკავესო. აბა, ვინ უნდა იჯდეს ციხეში გამაგებინეთ?! მაშინ გავაუქმოთ და დავხუროთ ციხეები. ამათზე დიდი კრიმინალი ვისა აქვს ქვეყანაში ჩადენილი?! თუ ვინმე ზის ციხეში, მაშინ იქ უნდა იჯდეს სააკაშვილი და მერაბიშვილი! ჯერ ესენი უნდა ისხდნენ და მერე ყველა დანარჩენი.

*— ნაციონალები გაბრალებენ, რომ კაკაბაძის საძმოს აქტიურობამ იმოქმედა სასამართლოს გადაწყვეტილებაზეო... როგორ ფიქრობთ, რომ არ ყოფილიყო ხალხის ასეთი აქტიურობა და პროტესტი, სასამართლო გამოიტანდა ასეთ გადაწყვეტილებას?*

— ხელისუფლება ნეტავ რაიმეს მართლა ითვალისწინებდეს კაკაბაძის რეკომენდაციისას. ამას იმიტომ ლაპარაკობენ, რომ ამით ამ ხელისუფლებასაც აკომპლექსებენ. აკომპლექსებენ იმითი, რომ თუ შენ ვინმემ მართალი და სწორი რეკომენდაცია მოგცა, ის არ შეასრულო. დღევანდელი ხელისუფლება გამოუცდელია და ისინიც ამით კომპლექსდებიან. ამას დაკომპლექსება კი არ უნდა, გაანალიზება უნდა ამ რეკომენდაციებს, რა არის სწორი და არა არის არასწორი. აკომპლექსებენ ამათაც, რომ სწორი გადაწყვეტილებები არ მიიღონ. თუ ციხე არსებობს და თუ იქ ვინმე უნდა იჯდეს, იქ უნდა ისხდნენ ეს კრიმინალები, სააკაშვილიდან და ახალაიადან დაწყებული, ამათით დამთავრებული, რომლებმაც ეს რეჟიმი შექმნეს ჩვენს ქვეყანაში ამ 9 წლის განმავლობაში. ჯერ ესენი უნდა ისხდნენ და მერე სხვები. თუ არადა, გახსნან ციხეები და გამოუშვან ყველა, რადგან არც ერთს, ვინც ციხეში ზის, იმაზე დიდი დანაშაული არა აქვს ქვეყნის წინაშე ჩადენილი, რაც ამ გუნდს. სწორედ ეს არის უსამართლობა, თუ ვინმე ზის, მაშინ ესენი რატომ არიან გარეთ?! მაშინ სულ გავაუქმოთ ციხეები და ნურავის ნუ ვიჭერთ. ან ერთი უნდა გააკეთო და ან მეორე, სამართლიანობა ეგ არის. ამათი ჩადენილ დანაშაულებებს შენდობა არ შეიძლება ჰქონდეს. ამათ ყველა ადამიანი დაჩაგრეს, ვინც ნაციონალური მოძრაობის ვერხუშკაში არ იყო. ყველას ბიზნესი წაართვეს, ყველას ქონება წაართვეს, ყველას ღირსება აყარეს. არავინ არ დატოვეს. მე პირადად არაფერი არ შემხებია მათგან, გარდა იმ ბინძური კამპანიისა. რა ბინძურებიც არიან ისა აქვთ კამპანიაც. მე ყველაზე ნაკლებად შემეხო ამათი მზაკვრული ხელი, მაგრამ მე ჩემთვის კი არ ვიბრძვი და ჩემი ღირსების შელახვისთვის, აი, ამ დაჩაგრული ადამიანებისთვის ვიბრძვი, რომლებსაც დღესაც არა აქვთ საშუალება, რომ თავისი უფლებებისთვის იბრძოლოს; აი, ამ ადამიანების მაგივრად ვიბრძოდი და ვიბრძოლებ, მანამ სანამ ესენი ხელისუფლებაში არიან.

*— ქალბატონო ნანა, ყველამ იცის, რომ გასულ კვირას, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით თქვენ ჩაატარეთ ღონისძიება და ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდეთ. რამდენად იმოქმედა ამ ყველაფერმა და რეალურად დაიწყო თუ არა ეს პროცესი?*

— იცით, დღევანდელი ხელისუფლება როგორ უშლიდა ამ პროცესს ხელს? მე არ დავიწყებ ახლა ამის დაკონკრეტებას. დღეს ყოფილი ხელისუფლების წევრები რატომ აიგივებენ და გაიძახიან ივანიშვილთანააო, მათ კარგად იციან ჩემი ხასიათი, ბოკერია და მისი მეგობრები ჩემს ოფისში ათენებდნენ დ აალამებდნენ 2003 წლამდე. ცდილობენ, რომ ამომასხას და სერიოზულად დავუპირისპირდე ივანიშვილს, მაგრამ სანამ ესენი კიდევ ხელისუფლებაში არიან დარჩენილები, ამას ვერ ეღირსებიან. ჯერ ესენი არიან მოსაშორებელი და ხელისუფლებიდან ჩამოსაცილებელი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ და გამოიწვიონ ჩემში აგრესია და გაღიზიანება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, ვერაფერს ვერ მიაღწევენ, სანამ ისევ თვითონ ყრიან ხელისუფლებაში. აი, ეს პრობლემა რომ მოეხსნება ქვეყანას, ეს ჭირი რომ მოშორდება, რასაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია, მერე ნახონ, ოპოზიციაში ყოფნა როგორი უნდა და როგორი უნდა კრიტიკა. დღეს კი ამ ხელისუფლების კრიტიკა ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს. ბუნებრივია, ნაკლსაც ვხედავ და ხარვეზებსაც, მაგრამ ეს იმასთან რა მოსატანია, ნაციონალურმა მოძრაობამ რა დანაშაულებებიც ჩაიდინა ქვეყანაში?! ჯერ ამაზე უნდა მოვთხოვოთ პასუხი, შევქმნათ პრეცედენტი, რომ ჩვენ ხელისუფლებას დანაშაულის გამო პასუხს ვაგებინებთ და ეს სწორედ ამ ხელისუფლებამ უნდა შექმნას, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილზე დიდ იმედებს ამყარებდა ქართველი ხალხი. სააკაშვილს უთქვამს რომელიღაც შეხვედრაზე, რა არის ეს სამართლიანობის აღდგენა ერთი გამაგებინეთო, 2003 წელს იყო ეს სამართლიანობა და ჩვენ დავანგრიეთ, მხედრიონის დროს იყო და მერე დავანგრიეთო თუ როგორ იყოო? ახლა სააკაშვილმა რომ არ იცის სამართლიანობა რა არის ეს მის პოლიტიკასაც ნათლად ეტყობოდა, მაგრამ უსამართლობა ხომ იცის რაც არის?! ხალხს რომ ქონებას ართმევდა, ხომ იცის რა იყო?! ხალხს რომ სახლებიდან ყრიდა, ხომ იცის ეს რა იყო?! ბიზნესს რომ ართმევდა, უკანონოდ რომ ხალხს იჭერდა, ხომ იცის ეს რაც იყო?! ის რაც მან აკეთა, სწორედ ამის საწინააღმდეგო უნდა გაკეთდეს, ამ ადამიანებს უნდა აღვუდგინოთ თავისი უფლებები და სწორედ ეს არის სამართლიანობის აღდგენა. სააკაშვილმა რომ იცოდეს და შემდგომში კიდევ კითხვები არ დასვას. ხალხმა რა უსამართლობაც განიცადა მისი პოლიტიკით, ეს უნდა აღვუდგინოთ ხალხს და სწორედ ეს არის სამართლიანობის აღდგენა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დღეს დედაენის ბაღში ცემა-ტყეპაა მოსალოდნელი

შორენა მარსაგიშვილი

დღეს მთელი საქართველოს ყურადღება დედაენის ბაღისკენ იქნება მიმართული. აქ 2 აქციის გამართვა იგეგმება. ერთნი 17 მაისის აქციის დარბევას გააპროტესტებენ, ხოლო მეორენი გამპროტესტებელთა პროტესტს დაგმობენ.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ შესაძლოა საქმე ცემა-ტყეპამდე მივიდეს, რადგანაც დღევანდელ აქციაში მონაწილეობას იგივე ხალხი მიიღებს, რომელთა ქმედებებმაც ერთი კვირის წინ ლამის მთელი მსოფლიო შეძრა.

ამ აქციასთან დაკავშირებით სასულიერო პირებს ჯერ განცხადება არ გაუკეთებიათ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ სასულიერო პირები არ მივლენ. სხვა თუ არაფერი, ლგბტ პირების მხარდამჭერების აქციას „არა თეოკრატიას ჰქვია“.

მოწინააღმდეგეების დასაშოშმინებლად მშობლიურ პოლიციას დიდი ძალისხმევა მოუწევს. მათ ერთი კვირის წინაც კარგად გაართვეს საქმეს თავი. პოლიცია რომ არა, 17 მაისს მართლა ცუდი ამბები დატრიალდებოდა. ვიღაცები კი ამბობენ, რომ პოლიციამ ლგბტ პირების სათანადო დაცვა ვერ უზრუნველყოო. საინტერესოა, ამაზე მეტი რა უნდა ექნათ, მერაბიშვილის მეთოდებით გაეფინა ერი და ბერი წიხლქვეშ თუ ლგბტ პირების ნაცვლად თავად მოეწყოთ ალლუმი.

პირველებმა აქცია ძალადობის მოწინააღმდეგეებმა დააანონსეს. ისინი აქციის გასამართავად ბაღში საღამოს სიგრილეში, 19 საათზე შეიკრიბებიან. შეკრება, მოგეხსენებათ, დასწრებაზეა და სხვა ჯგუფმა გადაწყვიტა, ერთი საათით გამართოს აქცია.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთსულოვნება“ ხვალ, 18:00 საათზე დედაენის ბაღში აქციის გამართვას გეგმავს. უფლებადამცველი ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ წევრი გიორგი გაბედავას განცხადებით, ამით ამ კონტრაქციის მონაწილეები დედაენის ბაღში 19:00 საათისთვის დაგეგმილ ღონისძიებას სახელწოდებით „არა თეოკრატიას“ გააპროტესტებენ, რომლის საორგანიზაციო ჯგუფმა 17 მაისის ცნობილ მოვლენებში დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით ონლაინპეტიცია მოამზადა.



გიორგი გაბედავას თქმით, 17 მაისის მოვლენებში დამნაშავე პირთა დასჯის მოთხოვნით შეგროვებული ხელმოწერების რაოდენობა ხელოვნურადაა გაზრდილი და აღნიშნული პროცესი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნად რამდენიმე დღის წინ დაგეგმილი და ჩაშლილი აქციის ორგანიზატორების მიერ იმართება.

– 24 მაისს, 18:00 საათზე დედაენის ბაღში ვმართავთ აქციას სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა პროპაგანდის საწინააღმდეგოდ. მათ რაღაც პეტიცია მოამზადეს და 17 მაისის მოვლენების გამო ადამიანების დასჯას ითხოვენ. ეს პეტიცია გაყალბებულია, ეს არის სიცრუე, ვითომ მეც მაქვს ხელი მოწერილი, ეს პედერასტების გაკეთებულია. ამ ხალხის სიცრუეში შეყვანა სურთ. ვნახოთ ხვალინდელ აქციაზე, რეალურად რამდენი არიან, აცხადებენ, რომ 15 000 ხელმომწერი ჰყავთ, მაგრამ მათმა დიდმა ნაწილმა არც კი იცის, ხელი რას მოაწერა, – განუცხადა „ფრონტ ნიუსს“ გიორგი გაბედავამ.

24 მაისს დედაენის ბაღში დაგეგმილ სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერ აქციას „ეროვნული ფრონტიც“ აპროტესტებს და ხელისუფლებას მოუწოდებს, ლგბტ ფასეულობების პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კანონმდებლობა მიიღოს.

როგორც ეროვნული ფრონტი აცხადებს, დღეს ლგბტ-ს აქცია 19.00 საათზე იწყება, ისინი კი 18.00-ზე შეიკრიბებიან და გააპროტესტებენ.

– კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ქართული საზოგადოების სულისკვეთება და საზოგადოებრივი სიმშვიდის უზრუნველყოფის მიზნით, უახლოეს პერიოდში მიიღოს ლგბტ ფასეულობების პროპაგანდის ამკრძალავი კანონი. მივიჩნევთ, რომ 17 მაისს ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ორგანიზებული აქცია პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა და ქართულ საზოგადოებაში მისთვის მიუღებელი ფასეულობების და ღირებულებების ძალადობრივად თავსმოხვევის მცდელობას შეიცავდა. სწორედ ამგვარმა მცდელობამ განაპირობა საზოგადოების მწვავე რეაქცია და გამოიწვია მოვლენების სტიქიური განვითარება. ამავე დროს, გლობალისტური ეკონომიკური კლანების გრანტებით ნასაზრდოები ფსევდო-ლიბერალური ფრთა ცდილობს 17 მაისის მოვლენები გადააბრალოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და სასულიერო პირებს, რაც ისევ და ისევ ქართულ საზოგადოებაზე იდეოლოგიური ძალადობის ელემენტებს შეიცავს. სასულიერო პირებმა უდიდესი როლი ითამაშეს იმაში, რომ სამართლიანად აღშფოთებული ხალხის რისხვა ტრაგიკული შედეგებით არ დასრულებულიყო და ვითარება საყოველთაო ქაოსში არ გადაზრდილიყო, – აცხადებს ეროვნული ფრონტი.

მათივე თქმით, ხელოვნური და ყოვლად უსაფუძვლოა ფსევდო-ლიბერალთა მცდელობები, განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა ქართულ ეკლესიას დააკისრონ.

„პირიქით, სწორედ ორგანიზაცია „იდენტობის“ და მისი მხარდამჭერების უპასუხისმგებლო გამომწვევმა ნაბიჯებმა და გადაწყვეტილებებმა უბიძგა ქართულ საზოგადოებას რადიკალური ნაბიჯებისკენ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ 17 მაისს ქართველმა ერმა და საქართველოს მოქალაქეებმა დაიცვეს მამა-პაპათა ტრადიციული ფასეულობები და მორალურ-ზნეობრივი იდეალები და ეს მოხდებოდა და კვლავაც მოხდება ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მსგავს პროცესებში მიიღებენ თუ არა მონაწილეობას სასულიერო პირები, – აცხადებენ „ეროვნული ფრონტის“ წარმომადგენლები.

იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი აქცია მაინც ჩაივლის მშვიდობიანად. გასაგებია, რომ მავანს გრანტები უნდა ძალიან, მაგრამ მაინც სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ.

# ჯონდი ბაღათურია: „მღვდლების დასჯა სამარცხვინო საქციელია“

## შსს-მ ორ სასულიერო პირს ბრალი წაუყენა

შორენა მარსაგიშვილი

**ევროპას, ამერიკას, ლგბტ საზოგადოებას და უფლებადამცველებს შეუძლიათ შვებით ამოისუნთქონ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 17 მაისის აქციის მონაწილე ორ სასულიერო პირს ბრალი წაუყენა.**

ამ ამბამდე ერთი დღით ადრე, 17 მაისის მოვლენებს შეფასება მისცა საქართველოს პატრიარქმა. მან სინანული გამოთქვა, რომ ერთი კვირის წინ სამღვდელოების წარმომადგენლები უზრდელად მოიქცნენ. უფრო ადრე განცხადება გააკეთა მეუფე იაკობმა. პატრიარქის ქორეპისკოპოსის განმარტებით, სასულიერო პირები მზად არიან წარდგნენ საერო სასამართლოს წინაშე.

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს VII განყოფილების თანამშრომლებმა 17 მაისს რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტში მონაწილე ორ სასულიერო პირს, სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე-თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი წაუყენეს.

გამოძიება შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის, უკანონოდ და ძალადობით ხელის შეშლის ფაქტზე სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროში 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის განცხადებით, სასულიერო პირთა ბრალეულობის მიზეზი კონკრეტული ქმედება უნდა იყოს.

„ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მამა მიქაელ ბოტკოველმა კომენტარი გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ორი სასულიერო პირისთვის ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით.

პატრიარქის მდივნისთვის ორი სასულიერო პირის, სამების ტაძრის არქიმანდრიტის, მამა ანთიმოზ (თამაზ ) ბიჩინაშვილსა და წმ. იოანე-თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენის, მამა იოთამ ( ირაკლი) ბასილაიასთვის ბრალის წაყენების შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო.

მისივე თქმით, ბოლო დღეებში ტელევიზიით გადაცემულ კადრებში ხშირად ამ სასულიერო პირებს აჩვენებდნენ.

– პოლიციის თანამშრომლები გაესაუბრებიან და ჩვენებას ჩამოართმევენ. ეს ჩვეულებრივი პროცესია. სასულიერო პირიც მოქალაქეა. გაირკვევა, რაში იკვეთება მათი ბრალეულობა. მარტო ის, რომ მირბოდნენ, ეს ხომ არ არის ბრალეულობა. რაღაც კონკრეტული ქმედება უნდა იყოს მათი მხრიდან, თუ შეგინება დასჯადია და ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მამა ანთიმოზი ამბობს, რომ ეს მისი ხმა არ არის, როდესაც კადრში ისმის გინება. არ ვიცი, რთული სათქმელია. მამა იოთამს, დავინახე, რომ სკამი უჭირავს ხელში, მაგრამ სკამის ხელში ჭერა დანაშაული თუ არის, არ ვიცი. სხვა რა ქმედება ჩაიდინა მან იქ, არ ვიცი, – დასძინა მამა მიქაელმა.

ბრალის წაყენების შემდეგ სამების საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტმა ანთიმოზმა პირველი კომენტარი „პირველი რადიოს“ ეთერში გააკეთა.

სასულიერი პირის თქმით, ის დაკავებული არ არის. არქიმანდრიტი ანთიმოზი სამართალდამცველებმა დღეს დილით ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს VII განყოფილებაში დაიბარეს, ჯერ დაკითხეს, ხოლო შემდეგ ბრალი წაუყენეს. ბრალის წაყენება გუშინ დილით მოხდა.



კანონის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თხოვნით პროკურატურამ სასამართლოს 72 საათის ვადაში უნდა მიმართოს. ეს ვადა კი კვირას დილით იწურება.

– 23 მაისს დილით დამიბარეს, დამკითხეს და შემდეგ წამიკითხეს ბრალი, არ ვიცი, როდის იქნება სასამართლო, მეტი არაფერი არ ვიცი. ძალიან ისე ვარ და არ შემიძლია საუბარი, – განაცხადა „პირველი რადიოს“ ეთერში სამების ტაძრის არქიმანდრიტმა, მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილმა.

ვნახოთ, გამოეხმაურება თუ არა ამ ამბავს 17 მაისის აქციის დარბევით შეძრული ნატოს გენერალური მდივანი. სანამ რასმუსენი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროპა დუმდა, ქართველმა პოლიტიკოსებმა გააკეთეს განცხადებები. განცხადება გააკეთა მამა ბასილ მკალავიშვილმა.

„სამარცხვინოა ქართველი ერისათვის, როდესაც მართლმადიდებელ მღვდლებს ასამართლებენ მართლმადიდებლობის დაცვისათვის, – ასე შეაფასა გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ბასილ მკალავიშვილმა სასულიერო პირებისთვის ბრალის წარდგენა.

– ეს ხდება საზღვარგარეთის მთელი ანტიქრისტიანული ძალების მხრიდან. ვისაც სურს, რომ საქართველოში არ იყოს მართლმადიდებლობა. ეს არის ბოკერიას დავალება. ჯერ კიდევ ძველ მთავრობას აქვს ძალაუფლება, რომ რაც უნდა, ის გააკეთებინოს ახალ მთავრობას, – განაცხადა მამა ბასილმა.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აპროტესტებს, როგორც მან „გეოტიმეს.გე“–ს განუცხადა, სასულიერო პირების დაკავების დამკვეთებს პასუხს აუცილებლად აგებინებს.

– ეს არის სრულიად სამარცხვინო საქციელი ხელისუფლების მხრიდან და ამაზე ის პოლიტიკოსები, ვინაც ენას ატლიკინებდნენ და იმუქრებოდნენ, პასუხს აგებენ. პატრიარქის ნათქვამი, რომ „თუ ვინმემ დააშავა, პასუხს აგებს“, არასწორ სიგნალად აღიქვეს და ამიტომაც გადადგეს ეს ნაბიჯი. მაგრამ „თუ ვინმემ დააშავა“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მოძღვრებმა რაღაც დააშავეს, მათ არაფერი დაუშავებიათ. თუ დანაშაულზეა საუბარი, ბოკერია–ჩერგოლეიშვილის და ხიდაშელ–ბერძენიშვილის პროვოკატორობით მოხდა, რაც 17 მაისს ვიხილეთ. მათ კისერზეა ეს და ამაზე როგორ აგებენ პასუხს, ამათ მალე ნახავთ ყველა. რაზე წაუყენეს ბრალი მოძღვრებს, ეს ამ ოთხეულს და მათ უნდა ჰკითხოთ, ვინც გაიძახოდა, მღვდლები დააკავეთ, დააკავეთო.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი აღშფოთებულია და ამ უსირცხვილო საქციელის გამო შესაბამის პასუხსაც მიიღებენ პროვოკატორები, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია იმედს გამოთქვამს, რომ 17 მაისის მოვლენების გამოძიებისას, სასულიერო პირების მიმართ გამოძიება იქნება ჰუმანური და მაქსიმალურად სამართლიანი.

როგორც ჟურნალისტებს ბესელიამ განუცხადა, 17 მაისის მოვლენების შესწავლის მიზნით, საგამოძიებო მოქმედებები არ არის დასრულებული.

– გამოძიების მიმდინარეობას უნდა დაველოდოთ. დეტალები არ ვიცი, სასულიერო პირების დაკავებას რა ფაქტები უსწრებს წინ, მაგრამ მისი უწმინდესობის განცხადება მოვისმინეთ, რომ საპატრიარქო არ დაუშვებს რაიმე ტიპის ძალადობას. იმედი მაქვს, როცა სასულიერო პირებს ეხება საქმე, გამოძიება იქნება სამართლიანი და გადაწყვეტილებას ობიექტურად მიიღებს, რადგან სასულიერო პირებს იმ სიმკაცრით ვერ მიუდგები, როგორც იმ პირებს, რომლებიც რამდენჯერმე არიან ნასამართლები, – განაცხადა ბესელიამ.

17 მაისის მოვლენებზე კომენტარის გაკეთება მოუწია ბალტიისპირეთში მყოფ საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას.

– პატრიარქი გმობს ძალადობას. ამ მოვლენების დროს ის საქართველოში არ იმყოფებოდა. ეს საკითხი სენსიტიურია ყველაზე ლიბერალურ დემოკრატიებშიც კი. ამ საკითხის მიმართ შეიძლება ორი უკიდურესი დამოკიდებულება არსებობდეს, თუმცა, როცა საქმე ეხება ძალადობას, ეს არა მარტო უნდა დავგმოთ, არამედ მისმა ჩამდენმა პასუხიც უნდა აგოს. პატრიარქმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ სწორედ ეს განაცხადა. ის ქვეყანაში ძალიან პოპულარულია და არაერთხელ გაუერთიანებია ჩვენი საზოგადოება. ვფიქრობ, რომ თავის მხრივ პატრიარქი პასუხისმგებლობას გრძნობს ქართველი ხალხის წინაშე. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი 96-97% ხომ სწორედ ეკლესიას ენდობა, რადგან მას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. პატრიარქს მხოლოდ პოზიტიური როლი შეუძლია ითამაშოს ამ პროცესებში. რა თქმა უნდა, დემონსტრაციაზე სამღვდელოების წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, რომელთა ქცევაც ზღვარს გადავიდა და ეს ტელევიზიებითაც გადაიცა. კანონის წინაშე ყველა თანასწორია – სამღვდელოება, რიგითი მოქალაქე, მინისტრი თუ პრემიერ-მინისტრი. კანონი განურჩევლად ყველას ეხება, – განაცხადა ალასანიამ.

# საპატიმროში მიღებული ტრავმებით კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

ცხაკაიას სახელობის, ინტერვენციული მედიცინის დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრში დღეს მსჯავრდებული ლ.კ გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტრო ავრცელებს.

„2013 წლის წლის 12 მაისს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებიდან №14 დაწესებულებაში, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით გადაყვანილი იქნა 64 მსჯავრდებული, მათ შორის მსჯავრდებული ლ.კ. – ც.

საცხოვრებელ კორპუსებში გადანაწილების შემდეგ, მითითებულ მსჯავრდებულს, სავარაუდოდ მე-6 საცხოვრებელი კორპუსის კიბეზე ასვლის დროს დაუცურდა ფეხი და საფეხურებზე მრავალჯერადი დაცემის შედეგად, სხეულის სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით თავის არეში მიიღო დაზიანებები.

მსჯავრდებულ ლ.კ-ს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში აღმოუჩინეს პირველადი დახმარება, რის შემდეგაც ის დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი ზ.ცხაკაიას სახელობის, ინტერვენციული მედიცინის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ცენტრში. მიყვანის მომენტში მსჯავრდებულ ესინჯებოდა არტერიული წნევა 120/80-ის ფარგლებში, ნორმალური პულსაცია, რაც დაფიქსირებულია მიღების ჟურნალში.

სამწუხაროდ, მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, 2013 წლის 23 მაისს, 12:00საათზე მსჯავრდებული ლ.კ გარდაიცვალა.

გარდაცვალების წინასწარი დიაგნოზია ქალა-ტვინის და ქალა-სახის დახურული ტრამვა, გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. ზუსტი დიაგნოზი ცნობილი გახდება ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

მსჯავრდებულის სხეული დაზიანებების ფაქტზე, 2013 წლის 13 მაისიდან გამოძიება, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

# ივანიშვილმა ნოდარ ხადური გააკრიტიკა

ნათია ხურცილავა

**მთავრობის სხდომა კანცელარიაში გუშინ გაიმართა. მთავრობის სხდომის დაწყებამდე მინისტრთა კაბინეტის ნაწილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ძირითადი პრესის ინტერესის სფერო, ვანო მერაბიშვილის დაკავების ფაქტი წარმოადგენდა, თუმცა კომენტარები 17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებითაც გაკეთდა.**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ სამართალდამცველებისთვის კონკრეტული სამართალდამრღვევების ვინაობას მნიშვნელობა არა აქვს.

უნდა დაისაჯონ თუ არა რუსთაველის გამზირზე მომხდარი ინციდენტის გამო სასულიერო პირები? ამ კითხვას მარგველაშვილი ასე პასუხობს:

— ყველაფერი უნდა განხორციელდეს კონსტიტუციის ფარგლებში. გარანტია იმისა, რომ კონსტიტუცია დაცული იქნება, არის სახელმწიფო. რაც შეეხება დასჯას, სამართალდამცველებისთვის განსხვავება არ არის, კონკრეტულად ვინ არის სამართალდამრღვევი, ვინ არის ის პიროვნება. სასამართლო განიხილავს ამ საკითხს, უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული რომელიმე პიროვნება. თავად სამართალდამცველებისთვის კონკრეტული სამართალდამრღვევების ვინაობას მნიშვნელობა არა აქვს, — განაცხადა მარგველაშვილმა.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესისა და მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, განათლების მინისტრი ფიქრობს, რომ მოსამართლემ ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო.

ვიცე-პრემიერ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით სასამართლომ, სავარაუდოდ, ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო.

მარგველაშვილი მთავრობის სხდომის დაწყებამდე ევროპის სახალხო პარტიის მიერ ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ჭიაბერაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას ასე გამოეხმაურა:

— რაც შეეხება განცხადებას, რომელიც მოვისმინე, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ განცხადებაში იმედი იყო გამოთქმული, რომ სასამართლო სამართლიანად ჩატარდებოდა და ყველა პროცედურა დაცული იქნება. ასეთი ტიპის განცხადებები ყოველთვის კეთდება, როცა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებს აკავებენ, თუმცა რაიმე კონკრეტული მინიშნება დარღვევებთან დაკავშირებით არ გამიგია, — განაცხადა მარგველაშვილმა.

კალაძე აცხადებს, რომ გირგვლიანის საქმის გამოძიება, ფაქტობრივად, დასრულებულია და მერაბიშვილს ბრალს წაუყენებენ.

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკავებას, ალბათ, ყველა ელოდებოდა.

— აქ უცხო არაფერია. ალბათ, ყველა ელოდებოდა, რომ მერაბიშვილს დააკავებდნენ, იმიტომ რომ ამ ადამიანის ბრალეულობა ორ ეპიზოდში იკვეთება. რაც შეეხება გირგვლიანის საქმეს, გამოძიება, ფაქტობრივად, დასრულდა და, ალბათ, ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალს წაუყენებენ. გირგვლიანის საქმის გამოძიება ჩვენი ხელისუფლების მორალური პასუხისმგებლობაა და, რაც 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, აღარ გამეორდება. კანონის წინაშე ყველა თანაბარია, — განაცხადა კალაძემ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა გუშინ პრეზიდენტ სააკაშვილს რჩევები მისცა.

ზაქარეიშვილი პრეზიდენტს ურჩევს, ვიდრე პროცესები არ დასრულდება, ქულების დაწერას ნუ მოისურვებს.

ასე გამოეხმაურა ზაქარეიშვილი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებას იმის თაობაზე, რომ ვანუატუს აფხაზეთის აღიარება უკან არ წაუღია.



— ამიტომაა, რომ, საუბედუროდ, სააკაშვილი წინ უსწრებს მოვლენების განვითარებას და ეს შემაშფოთებელია. მარტში უკვე მქონდა კონკრეტული ინფორმაცია და საპარლამენტო მოსმენისას ვთქვი, რომ არსებობს გარკვეული მუშაობა სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის აღიარების უკან წაღებასთან დაკავშირებით და ყველას ვთხოვთ, დროზე ადრე არ ისაუბრონ. სააკაშვილი კი მოახტა თვითმფრინავს და გარკვეული ღონისძიებები განახორციელა. აღიარების უკან წაღება ახალი მთავრობის დროს ხდება და არა სააკაშვილის მთავრობის დროს, როცა მოხდა ოკუპაციაც და აღიარებებიც. ასე რომ, ვისი დამსახურებაც არ უნდა იყოს ეს, იქნება საქართველოს წარმატება. მე სააკაშვილს ვთხოვ და ვურჩევ, ვიდრე პროცესები არ დასრულდება, მანამდე ნუ მოინდომებს ქულების დაწერას, მერე მივუწერთ მასაც ქულას, თუ ასე სჭირდება, თორემ ახლა ჩავა იაპონიაში და მერე იტყვის, რომ მზის ამომავალ ქვეყანაში საქმე ჩააწყო და საქართველოში ყოველთვის დროულად ამოვა მზე, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ვანუატუს მიერ აღიარების უკან წაღების ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებენ. როგორც სოხუმი ამტკიცებს, ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის უკან წაღება სააკაშვილის ფანტაზიაა.

— ვანუატუს ხელისუფლებაში ნამდვილად არსებობს სხვადასხვა მოსაზრება აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ჩვენს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის, — განაცხადა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ხინთბამ.

მისივე თქმით, ის, რაც ვანუატუს პრემიერ-მინისტრმა სააკაშვილთან საუბარში განაცხადა, პრემიერის პირადი მოსაზრებაა და ხელისუფლების გადაწყვეტილებას არ გამოხატავს.

ხინთბას მტკიცებით, ვანუატუ დღეს დიდი ზეწოლის ქვეშაა მათგან, ვინც მისი აფხაზეთთან ურთიერთობის წინააღმდეგია.

— აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაძლებლობის ფარგლებში პოლიტიკურ-დიპლომატიური პროვოკაციების დაუშვებლობის თვალსაზრისით ყველა აუცილებელ ქმედებას განახორციელებს, — აღნიშნა მან.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კომენტარს აკეთებს პატრიარქის სოხუმში ვიზიტთან დაკავშირებითაც. პაატა ზაქარეიშვილი აზრით, პატრიარქის სოხუმში ჩასვლის საკითხში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს.

როგორც ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, ის მოხარული იქნება, თუ ეს მოხდება, თუმცა მიიჩნევს, რომ პატრიარქის ჩასვლა შესაძლებელია რუსეთის ეკლესიასთან და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმების საფუძველზე.



— რა თქმა უნდა, ეს რთული თემაა. უწმინდესი გახლდათ კონსტანტინოპოლში, სადაც მსოფლიო პატრიარქს შეხვდა. ბუნებრივია, აფხაზეთზეც იქნებოდა საუბარი და, შესაძლოა, გარკვეული შეთანხმებაც მოხდა. პატრიარქის ჩასვლა აფხაზეთში შესაძლებელია რაღაც შეთანხმების საფუძველზე. ეს არ არის პოლიტიკური სტრუქტურა, მათ თავიანთი ურთიერთობები გააჩნიათ. მე მივესალმები, თუ ეს მოხერხდება, მაგრამ ვთვლი, რომ ეს უნდა მოხდეს ეკლესიის დონეზე და სახელმწიფოებრივი არხები ჩართული არ უნდა იყოს, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის დაკავებას, სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ერთი გრამიც რომ იყოს პოლიტიკური ანგარიშსწორება, მსოფლიო ამას არ გვაპატიებს.

ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ ის ენდობა პროკურატურას და იქვე აღნიშნავს, რომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე პროკურატურა დაკავებას არ დაუშვებდა.

— არავითარ პოლიტიკურ შეფასებაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. მხოლოდ სამართლებრივი შეფასება შეიძლება პროკურატურამ და სასამართლომ გააკეთოს. მე სხვა ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ვენდობი პროკურატურას. პროკურატურა არ დაუშვებდა ასეთი რანგის პოლიტიკური ფიგურების დაპატიმრებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. პოლიტიკური დევნა გამორიცხულია. ეს ისეთი საქმეა, რომ ერთი გრამიც რომ იყოს პოლიტიკური ანგარიშსწორება, მსოფლიო ამას არ გვაპატიებს. დარწმუნებული ვარ, პროკურატურა ამ საქმეს არ შეუდგებოდა, მყარი საფუძველი რომ არ იყოს. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გააკრიტიკა. ნოდარ ხადური უცხოეთში ვიზიტით იმყოფება და, შესაბამისად, მთავრობის სხდომას არ ესწრებოდა, რაც პრემიერს არ მოეწონა.

— ხადური ძალიან ბევრს მოძრაობს, მგონი, უნდა შეამციროს. ამდენს საგარეო საქმეთა მინისტრი არ დადის, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, ნოდარ ხადური ყაზახეთში იმყოფება, სადაც ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს ბოლატ ჟამიშევს შეხვდა. მინისტრებმა ყაზახეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალის დაფარვისა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

# დავით ბაქრაძე: „ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციის განადგურება სურს“

შორენა მარსაგიშვილი

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის გამო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დამწუხრებულია. ნაციონალები განსაკუთრებით გენმდივნის ბედზე ღელავენ. არცაა გასაკვირი, სასამართლომ ის დატოვა პატიმრობაში. ჭიაბერაშვილი კი 20 ათასიანი გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს.

ჭიაბერაშვილმა, რომლიც სააკაშვილმა ლამის პუტინის პატიმრად დასახელა, საპატიმრო გუშინ დილით დატოვა. თვალშისაცემი იყო, რომ მას არცერთი ნაციონალი არ დახვედრია. არადა წინა დღეს ჭიაბერაშვილის დაკავების გამო ღაწვებს იხოკდნენ და დალალებს იგლეჯდნენ. გუშინ კი კაპეზეს კართან „პუტინის პირად პატიმარს“ მხოლოდ მძღოლი დახვდა.

ნაცმოძელებს ეტყობა არ ეცალათ, მთელი დღის განმავლობაში ისინი მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას წერდნენ. რომლიც საღამოსთვის გავრცელდა.

როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი იმის მიუხედავად, რომ ვანო მერაბიშვილი დაკავებულია, ისინი არა თუ შეწყვეტენ ბრძოლას არამედ კიდევ უფრო დიდი შემართებით შეებრძოლება მთავრობის უგუნურ, საქართველოსთვის დამღუპველ პოლიტიკას როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. საგანგებო განცხადება პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა დავით ბაქრაძემ წაიკითხა.

— ძირითადი ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“




გენერალური მდივნის, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის და ერთ-ერთი რეალური პრეზიდენტობის კანდიდატის ვანო მერაბიშვილის დაკავება ნათლად წარმოაჩენს საქართველოს მთავრობის და მისი ხელმძღვანელის ბიძინა ივანიშვილის არაერთგზის ღიად გამოცხადებულ განზრახვას ძალისმიერი მეთოდებით გაანადგუროს პოლიტიკური ოპოზიცია ქვეყანაში. ოპოზიციის განადგურების ეს კამპანია შენიღბულია ეგრეთ წოდებული სამართლიანობის აღდგენით და სინამდვილეში წარმოადგენს შერჩევითი სამართლისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის კლასიკურ ნიმუშს. ეს ნაბიჯი ახალ, მძიმე პოლიტიკურ რეალობას ქმნის ქვეყანაში და დიდ დარტყმას აყენებს საქართველოს, როგორც ცივილიზებული ევროპული ქვეყნის იმიჯს. სამწუხაროა, რომ მთავრობა უგულებელყოფს ქვეყნის წინაშე არსებულ რეალურ პრობლემებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. მნიშვნელოვნად იკლო ეკონომიკური ზრდის ტემპმა, გაიზარდა უმუშევრობა, ჩვენს ქუჩებში კვლავ დაბრუნდა კრიმინალი, სამთავრობო წრეებში მძლავრობს კორუფცია. ამასთან სერიოზული საფრთხე შეექმნა ქვეყნის დასავლური კურსის არჩევანს. ნაცვლად იმისა, რომ ოპოზიციასთან თანამშრომლობის გზით იზრუნოს ქვეყნის განვითარებისა და ხალხის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე მთავრობა ოპოზიციის ღია დევნითაა დაკავებული. მისი მიზანია მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ოპონენტების შევიწროვება, კამპანიისთვის ხელის შეშლა, ოპოზიციის დეზორგანიზაცია და დემორალიზაციის სურვილი. გარდა ამისა დაკავება სიმბოლურ სახესაც ატარებს. აკავებენ პოლიციის რეფორმის ავტორს და კრიმინალთან მთავარ მებრძოლს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის, ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის დაკავება ადამიანური თვალსაზრისით მძიმე დარტყმაა, ჩვენ ვაცხადებთ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არა თუ შეწყვეტს ან შეასუსტებს ბრძოლას არამედ კიდევ უფრო დიდი შემართებით შეებრძოლება მთავრობის უგუნურ, საქართველოსთვის დამღუპველ პოლიტიკას როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ბრძოლა საქართველოს ევროპული მომავლისთვის, ბრძოლა კორუფციისა და კრიმინალის წინააღმდეგ, ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის არ არის მხოლოდ ერთი ცალკე აღებული პოლიტიკური პარტიის ამოცანა. ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის მზად იყო და მზად იქნება იყოს ამ ეროვნული ღირებულებებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

## ვანუატუს აფხაზეთის აღიარება უკან არ წაუღია

აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო, ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ფანტაზიის ნაყოფს უწოდებს.

„ნამდვილად, ვანუატუს მთავრობაში არსებობს განსხვავებული აზრი აფხაზეთის აღიარებასთან დაკავშირებით. თუმცა დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ჩვენს სახელმწიფოებს შორის არ მიღებულა“-განაცხადა აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი ხინტბამ.

მისი თქმით, ის რაც ვანუატუს პრემიერ-მინისტრმა სააკაშვილთან საუბრისას თქვა, მისი პირადი მოსაზრებაა და არა სახელმწიფოს გადაწყვეტილება.

ხინტბას განცხადებით, ვანუატუ დღეს დიდი ზეწოლის ქვეშ ჰყავთ მათ, ვინც ამ ქვეყნის აფხაზეთთან ურთიერთობის წინააღმდეგია.

„აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის შესაძლებლობის ფარგლებში ყველა საჭირო ზომას იღებს, რათა არ დაუშვას შესაძლო პოლიტიკურ-დიმპლომატიური პროვოკაციები“,-აცხადებს ხინტბა.

შეგახსენებთ, რომ ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ვანუატუს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

მედიანიუსი

## მთავარი პროკურორი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა

გუშინ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან ტრადიციული შეხვედრა გამართა.

როგორც „მედიანიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, მთავარი პროკურორი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების შესახებ ესაუბრა. შეხვედრა დისკუსიისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მთავარმა პროკურორმა დიპლომატიურ კორპუსს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რითაც დაინტერესებული იყო დიპლომატიური კორპუსი.

მთავარი პროკურორი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მეოთხედ შეხვდა. შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, რაც პროკურატურის სრულფასოვნად მუშაობასა და სისტემის გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს. — აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

მედიანიუსი

# „გთხოვთ, ნუ აგვაცდენთ გზას!“

## დევნილი სტუდენტებმა ბიძინა ივანიშვილს მიმართეს

შორენა გონგლაძე

**დევნილი სტუდენტები საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს მიმართავენ. „ახალი თაობა“ ამ მიმართვას სრულად გთავაზობთ.**

— ბატონო ბიძინა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგმართავთ დევნილი სტუდენტები. იცით და ნაცნობია ყველასათვის დევნილთა აუტანელი ყოფა-ცხოვრება. დაკარგული მიწა-წყალი, დაკარგული სახლ-კარი, წინაპართა საფლავები, ოჯახის წევრები... ამდენი ტკივილის ამტან-გადამტან, ორჯერ ომგამოვლილ ოჯახებს ხელისუფლების მხარში დგომა გვჭირდება. დღეს თითოეულ დევნილ ოჯახს უჭირს ოჯახის რჩენა, ავადმყოფის მოვლა, სტუდენტის შენახვა, ვინ მოთვლის კიდევ იმ მტკივნეულ პრობლემებს , რომელიც დევნილთა ოჯახებში დუღს... ყოველივე ამისა ჩვენ ახალგაზრდა დევნილებს გვსურს სწავლა-განათლების მიღება,რათა არ დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია და წარსული ან თუ ვისი გორისანი ვართ.

დიდი შრომის შედეგად ჩავირიცხეთ ეროვნულ გამოცდებზე, მაგრამ რად გინდა სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო კვლავ ვტოვებთ უმაღლეს სასწავლებლებს, როგორ შეიძლება კანონი განათლების შესახებ ერთნაირად ვრცელდებოდეს გაღატაკებულ დევნილ სტუდენტსა და ჩვეულებრივ სტუდენტზე , რომელსაც არაფერი დაუკარგავთ ( თუმცა მათაც ვუთანაგრძნობთ, რამეთუ ეკ.კრიზისი უმეტესობის ოჯახებსაც შეეხოთ).

ბატონო ბიძინა ილონეთ რაიმე და გაგვიწიეთ შუამდგომლობა უნივერსიტეტებთან, რათა დაგვიშვან უმაღლეს სასწავლებლებში ზაფხულის გამოცდებზე. ჩვენი დრო და ასაკი არ იცდის, იცით ალბათ დროის ფასი, რომ დრო შეუფასებელია.

ვითხოვთ ასევე, რომ პარლამენტმა განიხილოს კანონი განათლების შესახებ და ჩაასწორონ ის მუხლები, რომელიც ეხება დევნილ სტუდენტებს.

სამომავლოდ კი შექმენით სტუდენტთა დასაქმების ცენტრი და საკუთარ სწავლის ქირას შრომით გადავიხდით!!! ასევე ვითხოვთ შეიქმნას დევნილთა დახმარების ფონდი!!!

ის და მსგავსი ტიპის თანხები, რაც ვანო მერაბიშვილის სახლში აღმოაჩინეს გადაირიცხოს აღნიშნულ ფონდში,ასევე ყველა იმ ძველი ჩინოვნიკის საპროცესო შეთანხმების დროს შეტანილი თანხა გირაოს სახით გადარიცხულ იქნას დევნილთა ფონდში!!!

ნაციონალური ხელისუფლების არასწორმა და გაუთვლელმა ნაბიჯებმა მოგვიწყო 2008 წლის აგვისტო, საკუთარი ოჯახის ბედნიერებისა და სიმდიდრისათვის. ჩვენი დევნილების ხარჯზე დამდიდრდნენ და ჩვენზე გადმორიცხული მილიონებით საოცნებო ცხოვრება შეიქმნეს! დაგვაკარგინეს სახლი, კარი, უძრავი, მოძრავი, ოჯახის წევრები და ახლა უბრალო შეღავათებიც აღარ ვრცელდება ჩვენზე, ჩვენისით სასწავლო ბიზნესიც აიწყეს...

ბატონო ბიძინა ისევ თქვენი იმედი გვაქვს დევნილებს, თქვენ გაიგებთ ყველაზე მეტად გაჭირვებული ადამიანის ყოფა-ცხოვრებას, თქვენ ხომ ერთიც გინახავთ და მეორეც.

დევნილი სტუდენტები გთხოვთ დახმარებას...ნუ აგვაცდენთ გზას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელისუფლების ვალია ჩვენს გვერდით დგომა, რამეთუ ყველა ცივილიზებულ ევროპულ ქვეყანაში სწავლისათვის დიდი თანხებია გამოიყოფილი!

ბატონო ბიძინა გვააქვს თქვენი გულისხმიერების იმედი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაგვრთეთ რუსული სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ პროექტში ,,უფასო სწავლა -განათლება ქართველებს“ რუსეთის 20 ქალაქში...იმედია ეს არ დაგვჭირდება და ჩვენს მშობლიურ ენაზე შევისწავლით ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიასა და კულტურას ...

უფალი გფარავდეთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, — ნათქვამია განცხადებაში.



## ვანო მერაბიშვილის მეუღლე საქართველოში დაბრუნდა

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია საქართველოში დაბრუნდა. თაკო სალაყაიას საქართველოში არყოფნის შესახებ გუშინწინ, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესზე გახდა ცნობილი.

როგორც სასამართლო პროცესზე პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, თაკო სალაყაიამ საქართველო ვანო მერაბიშვილს დაკითხვაზე დაბარების უწყების ჩაბარების შემდეგ, 21 მაისს დატოვა.

გუშინწინ ყოფილმა პრემიერ–მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა რომ მისი მეუღლე საქართველოში უახლოეს მომავალში დაბრუნდებოდა.

**მედიანიუსი**

## დიმიტრი შაშკინი: „ორთვიანი დაკავებით მერაბიშვილისნაირი პოლიტიკოსი პოლიტიკიდან არ გაქრება“

საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ნურავინ იფიქრებს, რომ ორთვიანი დაკავებით მერაბიშვილისნაირი პოლიტიკოსი პოლიტიკიდან გაქრება.

როგორც მან გუშინ აიტივი-ს პრესკლუბში განაცხადა, ვანო მერაბიშვილი დიდი წონის პოლიტიკოსია და მისი მოხსნა პოლიტიკური სცენიდან ასე მარტივად არ ხდება.

**მედიანიუსი**

# ჯემალ ტყეშელაშვილი: „ვანო მერაბიშვილმა სახლი წამართვა“

გულიკო ბალაძე

მერაბიშვილის ბრალდების საქმეს შეიძლება კიდევ ერთი ეპიზოდი დაემატოს. სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემალი, ყოფილი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაპატიმრებულია. ამის გამო საზოგადოებაში ერთგვარი კმაყოფილებაც კი შეიმჩნევა, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მრავალი განცხადება შევიდა მთავარ პროკურატურაში, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის ბრალეულობაზეც. ვანო მერაბიშვილის ბრალდების საქმეს შეიძლება დაემატოს მოქალაქე ჯემალ ტყეშელაშვილისთვის უკანონოდ ბრალდებისა და იძულების გზით მისი ქონების მითვისების ეპიზოდი. მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს მიმართა მსჯავრდებულმა ჯემალ ტყეშელაშვილმა და მოითხოვა უკანონოდ მსჯავრდებისა და საქმეში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლება და გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა.

— თითქმის შვიდი წელიწადი ვითმინე, სანამ საქართველოში არ აღდგებოდა კანონიერება და სამართალი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე და ჩემი ოჯახი მუდმივი შიშის ქვეშ ვიყავით, რომ ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზე მომუშავე ძალისმიერი სტრუქტურის ხელმძღვანელებს არ განეხორციელებინათ ჩემი ლიკვიდაცია ან შესაძლო ფიზიკურად გასწორება. რას ვიფიქრებდი, რომ 71 წლის კაცს 2005 წელს ხელისუფლება დამაპატიმრებდა, თავისივე მოცემული ფულით სასამართლოში საპროცესო შეთანხმებას გამიფორმებდა, მიითვისებდა მთელ ჩემს ქონებას, მიწის ნაკვეთების ჩათვლით და ხმის ამოღების უფლებასაც დამიკარგავდა, — წერს ჯემალ ტყეშელაშვილი.

— ათეული წლების განმავლობაში ვმუშაობდი აგრარული უნივერსიტეტის დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის დირექტორად. განვლილი წლების განმავლობაში აღნიშნული მეურნეობა დამოუკიდებლად აწარმოებდა მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო კულტურას და ითვლებოდა მომგებიან სასოფლო– სამეურნეო დაწესებულებად. საცდელ მეურნეობას ეკავა ათობით ჰექტარი მიწა, რომელიც განლაგებულია აღმაშენებლის ხეივნის გასწვრივ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ძველი ხელისუფლების მიზანი იყო აღნიშნული მიწის ნაკვეთებისა და მათზე არსებული შენობა-ნაგებობების ძალადობრივი გზით წართმევა და კონკრეტული პირების ხელში გადაცემა. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჩემ მიერ დაფუძნებულ შ.პ.ს. „ანტისოს“ საკუთრებაში იურიდიულად გაფორმებული გახლდათ 1 ჰა მიწის ნაკვეთი და მასზე აშენებული ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც დაფიქსირებული იყო დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კილომეტრზე. შპს „ანტისოს“ 2003 წლის 1 დეკემბერს მცხეთის რაიონის გამგეობასთან გაფორმებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწის საიჯარო ხელშეკრულება 128,98 ჰექტარზე 49 წლის ვადით, მიწის იჯარის ქირა დამიწესდა ყოველწლიურად 3.620 ლარი. მანამდე, იმავე მცხეთის გამგეობასთან 2001 წელს დადებული ხელშეკრულებით, იჯარით გადმოცემული გვქონდა 168 ჰექტარი, ყოველწლიური ქირის 4341 ლარის გადახდით. მოგვიანებით მცხეთის გამგეობამ შეიტანა შესწორება იჯარის ხელშეკრულებაში და ჩამომაჭრა 40 ჰექტარი.

როგორც შემდგომმა მოვლენებმა დამანახვა, მავანმა და მავანმა მოინდომა ამ მიწების ზოგი სახელმწიფოსთვის, ზოგის პირადად სარგებლობის მიზნით მითვისება და დამიწყეს ბრძოლა, ჯერ სამოქალაქო სარჩელების სასამართლოში შეტანით, რაც 2003-2004 წლებში სასამართლოებში განხორციელდა. ამ ფონზე ხელოვნურად შეიქმნა შპს-ს თითქოსდა დავალიანებები სახელმწიფოსთან, რამაც მნიშვნელოვან თანხებს მიაღწია. მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ჭალიძის 2004 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მცხეთის გამგეობის სარჩელი საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციებმა. რამდენად სამართლიანი იყო ეს გადაწყვეტილებები, თქვენი განსასჯელია.



შემდგომი მოვლენები უფრო რადიკალურად განვითარდა. მავანმა მოინდომა შენობისა და მიწის ნაკვეთის წართმევა, რომელიც კანონიერ მფლობელობაში მქონდა. ნებაყოფლობით არ დავთმე ჩვენი კუთვნილი ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სპეციალურმა სამსახურმა 2004 წლის 5 ივლისს ჩემ მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე მყოფი ქონების თითქოსდა არაერთგზის უკანონოდ პრივატიზაციის ფაქტზე. 21 იანვარს დამაკავეს, ხოლო 24 იანვარს, თითქოსდა სახელმწიფო ქონების მითვისების ფაქტზე, პროკურატურის შუამდგომლობით სასამართლომ 71 წლის კაცს წინასწარი პატიმრობა შემიფარდა და გადამიყვანეს ორთაჭალის №5 ციხეში. თითქმის სამი თვის განმავლობაში ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. პროკურატურა მთხოვდა ჩემს კანონიერ მფლობელობაში ერთი ჰექტარი მიწისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის კერძო პირების სასარგებლოდ დათმობას. მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო ეს კერძო პირი, რომელიც, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, თურმე საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ყოფილა. მისი სახელით მოქმედი პირები მოგვიანებით გამოჩნდნენ „ასპარეზზე“. მთელი ოჯახი მთხოვდა, დამეთმო ეს ქონება და მომეწერა ხელი ამ ქონების გაყიდვაზე, რაზეც კატეგორიულ უარს ვაცხადებდი.

პროკურატურამ მაინც მიაგნო გამოსავალს. როგორც მე, ისე ჩემს მოადგილეს, გივი გიორგაძეს, შპს „ანტისოს“ წესდებით, უფლება გვქონდა, ფირმის სახელით მოგვეხდინა ნებისმიერი სახის მოქმედებები.

პროკურატურამ ბრალად დამდო სახელმწიფოსთვის 150.553 ლარის ზიანის მიყენება. ასეთი თანხა ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა. მეუღლე იძულებული გახდა, ჩემი გათავისუფლების სანაცვლოდ მიეცა უფლება გივი გიორგაძისთვის, მოეხდინა ჩვენი კუთვნილი ქონების გასხვისება.

პროკურატურის ინიციატივით, გივი გიორგაძე 2005 წლის 7 მარტს მიიყვანეს ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირზე №67-ში მდებარე სანოტარო ბიუროში. ნოტარიუს მარიკა გოგოლაძის მიერ ჩემი ნების საწინააღმდეგოდ გაფორმდა შპს „ანტისოს“ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მოსკოვში მცხოვრებ ვინმე ალექსანდრე მერაბიშვილის წარმომადგენლის მერაბ მერაბიშვილსა და გივი გიორგაძეს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ჩემს მეუღლეს მერაბ მერაბიშვილმა გადასცა 150 ათასი აშშ დოლარი, საიდანაც მეუღლემ ბიუჯეტში შეიტანა, ვითომდა მიყენებული ზარალის სანაცვლოდ, 150533 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხის დიდი ნაწილი, გადახდილი ქირა, იმ დავალიანების არსებობის პირობებში, რომელიც საგადასახადო და სასამართლო ორგანოებმა დაგვაკისრეს. ფულის გადახდის შემდეგ იძულებული გავხდი, მეორე დღესვე საპროცესო შეთანხმება დამედო პროკურატურასთან, ვინაიდან საკუთრება უკვე წართმეული მქონდა და შემდგომში ჩემი პატიმრობაში ყოფნა უკვე უაზრობა გახდა. მე მივეცი აღიარებითი ჩვენება და 2005 წლის 11 აპრილის მცხეთის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე ლეონიძე) განაჩენით, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შემეფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შემეცვალა იმავე ვადით პირობით გამოსაცდელი ვადით.

ახლა გავარკვიე, რომ ფირმის საკუთრება ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობები მიუთვისებია საქართველოს შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს, რომელსაც თავისი ნათესავების ალექსანდრე და მერაბ მერაბიშვილების მეშვეობით სურდა აღნიშნულ ტერიტორიაზე გრანდიოზული პირადი საცხოვრებელი სახლის აშენება.

მოგვიანებით გავიგე, რომ იჯარით გადაცემული 163 ჰექტარი მიწის ფართის ჩემთვის ჩამორთმევა იმ მიზეზით მომხდარა, რომ 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტმა დააანონსა „დიღმის ჭალებში“ თბილისის ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, რომელიც დღეისათვის, როგორც ჩანს, აღარ ასრულდება, — წერს ჯემალ ტყეშელაშვილი.

როგორც ჯემალ ტყეშელაშვილის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე აცხადებს, დღეს ტყეშელაშვილის საკუთრება ყოფილი შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მფლობელობაშია, თუმცა, არც ერთი სახლი, ისიც კი, სადაც საგამოძიებო ორგანოებმა ჩხრეკა ჩაატარეს, მის სახელზე გაფორმებული არ აქვს. ალბათ, ყველას ახსოვს, პარლამენტში სააკაშვილის განცხადება, თითქოსდა მერაბიშვილი სრულიად უქონელი ადამიანი იყო.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ გაქვთ ერთ-ერთი მოქალაქის საქმე, რომელიც სწორედ ვანო მერაბიშვილის მიერ მისთვის ქონების წართმევასა და ამ მიზნით მის უკანონო მსჯავრდებას ეხება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საქმე მის ბრალდებას უნდა დაემატოს?

— არსებობს საქმე, რომელიც ეხება მოქალაქე ჯემალ ტყეშელაშვილს, რომლის ქონებაზეც არის დავა. მთავარ პროკურატურაში 14 ათასამდე სისხლის სამართლის საქმეზე საჩივარი შეტანილი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის მიერ საკუთრების ხელყოფის თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი საქმეა ჯემალ ტყეშელაშვილის საქმე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა აგრარული უნივერსიტეტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორად. ამ მეურნეობის მფლობელობაში იყო ძვირადღირებული ტერიტორია და მიწის ნაკვეთები. 2003 წლის რევოლუციის შემდეგ არაერთი ზეწოლა განხორციელდა ამ პირზე აღნიშნული მიწების ჩამორთმევისა და გასხვისების მიზნით. არაერთი სასამართლო გაიმართა, რომ აგრარული უნივერსიტეტისთვის ჩამოერთმიათ საცდელი მეურნეობის ნაკვეთები, სადაც სტუდენტები წლების განმავლობაში გადიოდნენ პრაქტიკას. ამ ნაკვეთებზე გაშენებული გახლდათ ვენახები და ხეხილი. როგორც ახლა ირკვევა, მაშინ ახალმა ხელისუფლებამ განიზრახა მისი საბოლოოდ ხელში ჩაგდება.

— ასე მაინც რატომ დაინტერესდნენ?

— კარგი ადგილი იყო. დღეს იქ წამოჭიმულია სასახლეები. ბევრი მათგანი იმ თანამდებობის პირების საკუთრებას წარმოადგენს, რომლებსაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მაღალი თანამდებობები ეკავათ.

— მათ შორის ვანო მერაბიშვილის სახლიცაა?

— დიახ. მთელი რიგი პროცესები განვითარდა ყოფილი შს მინისტრის მხრიდან ჯემალ ტყეშელაშვილის მიმართ მისი ქონების ხელში ჩასაგდებად. 2004 წელს ჯემალ ტყეშელაშვილი დაიბარეს მცხეთის რაიონულ გამგეობაში და მისცეს წინადადება, გაესხვისებინა ეს ტერიტორია და შპს „ანტისოს“ საკუთრებაში იურიდიულად გაფორმებული და მასზე აშენებული ორსართულიანი შენობა.

— ვის სახელზე გაესხვისებინა, ეუბნებოდნენ?

— ეუბნებოდნენ, რომ უნდა გასხვისებულიყო, ვინაიდან, როგორც გამგეობაში უხსნიდნენ, აღნიშნული ტერიტორია რაღაც გეგმაში შედიოდა, რომელიც, თითქოსდა, საქართველოს პრეზიდენტმა შეიტანა თბილისის გარეუბნების განაშენიანების გეგმაში. ამაზე ჯემალ ტყეშელაშვილი კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა. მისი ქონების საბაზრო ღირებულება იმ პერიოდისთვის შეადგენდა მილიონ-ნახევარ ლარს. აქედან გამომდინარე, დაინტერესება დიდი იყო.

— ამდენი ღირს?

— დიახ. მიწის დიდი ნაკვეთია, თან ამ ნაკვეთზე ნაგებობაცაა. როცა გამგეობაში მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, 2004 წლის იანვარ-თებერვალში ტყეშელაშვილი დაიბარეს პროკურატურაში. დაკითხვებს უწყობდნენ საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სპეციალურ სამსახურში, სადაც 2004 წლის 5 ივლისს აღძრეს სისხლის სამართლის საქმე აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე მყოფი ქონების თითქოსდა უკანონო

## შსს–მ ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გიორგი ხ. ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2013 წლის 22 მაისს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ქუთაისში 5 მაღაზია დააყაჩაღა. სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, საკუთარ სახლში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ,,ტე-ტე“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი, 6 საბრძოლო ვაზნა და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით), რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გინესის რამდენიმე რეკორდი დაამყარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტულ კომპლექსში, მსოფლიოს ცხრაგზის რეკორდსმენმა, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, პოლიციის კაპიტანმა იოსებ ხუციშვილმა ცალ ხელზე აზიდვაში, გინესის რეკორდი დაამყარა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფომაციით, მან კანადელი რეკორდსმენის მიერ 2007 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა და მარცხენა ხელის მუშტზე წუთში 65 აზიდვა შეასრულა. ხუციშვილის მიერ დამყარებული გინესის რეკორდი საქართველოს რეკორდების ფედერაციის მსაჯებმა დააფიქსირეს.

შსს-ს სპეციალური ოპერაციების ცენტრის თანამშრომელმა ჟანრი ნოდიამ კი, სიმძიმით აზიდვაში, გასულ წლებში ამერიკელი სპორტსმენის მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. მან 46,2 კილოგრამის სიმძიმის ტვირთით წუთში 29 აზიდვა შეასრულა.

ამავე სამსახურის თანამშრომელმა გიორგი მანველიძემ, იოსებ ხუციშვილის მიერ 2012 წელს ორ ხელზე აზიდვაში დამყარებული მსოფლიო რეკორდი მოხსნა.

სპორტული ღონისძიების მონაწილეებს წარმატება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა დავით ცინარიძემ და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებმა მიულოცეს.

მედიანიუსი

## 1 თვის შვილის მკვლელობისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რუსთავში, საკუთარი შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ქალაქ რუსთავის მე-17 მიკრორაიონის 27-ე კორპუსში მცხოვრებმა 1978 წელს დაბადებულმა, ფსიქიკურად დაავადებულმა გივი ჩ-მ, საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულის ფანჯრიდან შვილი, ერთი თვის ლადო ჩ. გადააგდო. ჩვილი ადგილზე გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი ჩვილის დედა, 1977 წელს დაბადებული თეონა ჟ, მეუღლის მსგავსად, ფსიქიკურად დაავადებულია.

შემთხვევის ადგილზე გამოძახებული საპატრულო ეკიპაჟები და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები გამოცხადდნენ. გივი ჩ. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე, საკუთარ სახლში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გივი ჩ. ქურდობისთვის ნასამართლევია და სასჯელი 2005 წელს მოიხადა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლითაა დაწყებული, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

# გიგი უგულავა: „ჩვენ ციხის არ გვეშინია“

ნათია ხურცილავა



დედაქალაქის მერი გიგი უგულავა ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს. უგულავას განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს აქვს ფსიქიკა, რომელიც ორიენტირებულია გაქცევაზე.

უგულავამ აღნიშნული განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკავების ფაქტზე გააკეთა.

– პირველ ოქტომბერს, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მიხეილ სააკაშვილმა „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ძალაუფლება სრულად გადააბარა ახლად არჩეულ გამარჯვებულ პარტიას, ამით საქართველოში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი იმისა, რომ ხელისუფლება თავისუფალი და კონკურენტული გზით გადაეცა ერთი პარტიიდან მეორე პარტიას და ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, რომელსაც სულ მალე თაფლობისთვე დაუმთავრდება და რეალური კრიზისები დაუდგება წინ, ისევე, როგორც ყველა მომდევნო ხელისუფლება, ეცოდინება რა, რომ თავისუფალი, სამართლიანი ტრანზიციის ანუ ძალაუფლების გადაცემის შემდეგ იქნება ე.წ. სამართლიანობის აღდგენის მსხვერპლი და ამ სამართლიანობის აღდგენას თავში ჩაუდგებიან ლაშა ნაცვლიშვილი, ნანა კაკაბაძე და ახლა საერთოდ თენგიზ კიტოვანიც დაემატა, ბუნებრივად მოეპოტინება, ჩაებღაუჭება ძალაუფლებას ხელში და შეეცდება, არ გაუშვას ძალაუფლება ხელიდან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევალთ სპირალში, რომელიც ქვეყანას კარგს აღარაფერს მოუტანს, ამიტომ ამაზე უნდა დაფიქრდეს მთავრობა, იმიტომ რომ ასეთი თვალსაზრისით ქვეყნის მომავალს დიდ საფრთხეს აყენებს. სხვა მხრივ, ახლა ჩვენ ვიმყოფებით ჩამომსვლელთა დარბაზში. არავინ არსად არ წასულა. სხვათა შორის, ამ ამბებთან დაკავშირებით გამახსენდა ბატონი ივანიშვილის ინტერვიუ, თუ არ ვცდები, შუბლაძესთან, სადაც მან ძალიან საინტერესო რამ ახსენა, რომ ვისაც ჭკუა ჰქონდა, გაიქცა, მან ასეთი ფრაზა იხმარა, ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი, რატომ დღემდე არ დატოვა ბატონმა ივანიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა, უფრო სწორად, შეაჩერა გამოცვლის პროცედურა, რატომღაც არავინ დაინტერესებულა, რატომ არ აიღო საქართველოს მოქალაქეობა, როდესაც იქ ის რვა თვეა, პრემიერ-მინისტრია. იმიტომ, რომ მასაც აქვს ფსიქიკა, რომელიც ორიენტირებულია გაქცევაზე. ჩამოსვლათა დარბაზში ვართ, ჩამოვედი, ყველა ჩამოვა ვინც საჭიროა და, თუ თავისუფლების გზა გადის ციხეზე, დღეს ვანო იქნება, ხვალ სხვა იქნება და ზეგ შეიძლება მეც ვიყო, შემდეგ კიდევ ვიღაც სხვა იყოს. ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ბევრად უფრო მეტი გამოწვევისთვის გაგვიძლია ამ წლების განმავლობაში და ციხე იმასთან შედარებით არაფერი არ არის. ასე რომ, ტყუილად თავს ნუ დაიღლიან და რეალური პრობლემების მოგვარებისკენ მინდა მოვუწოდო, იმიტომ რომ დღითიდღე ჩვენს ქვეყანაში პრობლემები მრავლდება და, სამწუხაროდ, კაციშვილი პატრონი არ ჩანს, – აცხადებს გიგი უგულავა.

თბილისის მერის განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს „აქვს ფსიქიკა, რომელიც ორიენტირებულია გაქცევაზე“.

ამის შესახებ უგულავამ ჟურნალისტებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოში დაბრუნებისას განუცხადა.

– 1 ოქტომბერს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ძალაუფლება სრულად გადააბარა ახლად არჩეულ, გამარჯვებულ პარტიას, ამით საქართველოში შექმნა უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი იმისა, რომ ხელისუფლება თავისუფალი და კონკურენტული გზით გადაეცა ერთი პარტიიდან მეორეს. ეს იყო ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. რატომ ვამბობ ამას: იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, რომელსაც სულ მალე თაფლობისთვე დაუმთავრდება და რეალური კრიზისები დაუდგება წინ, ისევე, როგორც ყველა მომდევნო ხელისუფლებას, ეცოდინება რა, რომ სამართლიანი, თავისუფალი ტრანზიციის ანუ ძალაუფლების გადაცემის შემდეგ იქნება სამართლიანობის აღდგენის მსხვერპლი და ამ სამართლიანობის აღდგენას თავში ჩაუდგებიან ლაშა ნაცვლიშვილი, ნანა კაკაბაძე და ახლა უკვე თენგიზ კიტოვანიც დაემატა, ბუნებრივად მოეპოტინება, ჩაებღაუჭება ძალაუფლებას და შეეცდება, არ გაუშვას ხელიდან. ეს ნიშნავს, ჩვენ შევალთ იმ სპირალში, რომელიც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. ამიტომ ამ კუთხით უნდა დაფიქრდეს მთავრობა, იმიტომ რომ ამ თვალსაზრისით ქვეყანას დიდ საფრთხეს აყენებს, – განაცხადა უგულავამ.

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბევრად მეტი გამოწვევისთვის გაუძლია და ციხე იმასთან შედარებით არაფერია.

## ნარკობრუნვის გამოვლენის მიზნით, აეროპორტში უწყებათაშორისი ჯგუფი იმუშავებს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს შორის დღეს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, მემორანდუმი, შემოსავლების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით იქნა შემუშავებული.

ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო გამშვები პუნქტის ბაზაზე, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით, უწყებათაშორისი ჯგუფი შეიქმნება. მემორანდუმს ხელი, საბაჟო დეპარტამენტის, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა პირებმა მოაწერეს.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანში შეხვედრები გამართა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბაქოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრ რამილ უსუბოვს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს და ამ მიმართულებით დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს. შეხვედრა გაიმართა ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების მინისტრ ქემალედინ გეიდაროვთან. ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი დაათვალიერა და მისი მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. გაიმართა შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების მინისტრთანაც.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვდა ასევე აზერბაიჯანის საზღვრის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელ ელჩინ გულიევს. მხარეებმა საზღვრის დაცვის კუთხით ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის საკითხზე ისაუბრეს. ოფიციალურ შეხვედრებამდე ირაკლი ღარიბაშვილმა დელეგაციის წევრებთან ერთად „საპატიო დაკრძალვათა“ ხეივანი მოინახულა. მინისტრმა აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის, ჰეიდარ ალიევისა და მისი მეუღლის, ზარიფა ალიევას საფლავები გვირგვინითა და ყვავილების თაიგულით შეამკო. „საპატიო დაკრძალვათა“ ხეივანის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილი „შეჰიდების ხეივანსკენ“ გაემართა, სადაც „მარადიული ცეცხლის „ მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ნიუსპრესი

# ჯემალ ტყეშელაშვილი: „ვანო მერაბიშვილმა სახლი წამართვა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

პრივატიზაციის ფაქტზე.

– ტყეშელაშვილს ეს საკუთრება სასამართლოს გზით ჰქონდა დამტკიცებული?

– დიახ, დამტკიცებული და რეგისტრირებული ჰქონდა. ყველა დოკუმენტაცია საქმეზე იყო. ერთ მშვენიერ დღეს, 2005 წლის 21 იანვარს, 71 წლის კაცი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, დაიბარეს პროკურატურაში, დააკავეს და სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუფარდეს ორთვიანი პატიმრობა და გადაიყვანეს ორთაჭალის მე-5 იზოლატორში.

– მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა?

– რასაკვირველია, წამებისა და ტანჯვის ფორმას იყენებდნენ. როგორია 71 წლის კაცისთვის ციხის ძნელ პირობებში ყოფნა, მით უმეტეს, №5 საპყრობილეში, სადაც პატიმრებს მოსვენების ადგილიც კი არ ჰქონდათ. საწოლები არ იყო და რიგრიგობით წვებოდნენ. ამას აკეთებდნენ მისი ქონების ხელში ჩასაგდებად. ამ ხნის განმავლობაში მასთან პროკურატურიდან მიდიოდნენ თითქოსდა დაკითხვის მიზნით. ჯერ სთხოვდნენ ქონების თითქოსდა სახელმწიფოსთვის გადაფორმებას, მაგრამ შემდგომში მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. პროკურატურამ თითქოსდა ჩაატარა რაღაც რევიზია და დაადგინა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის უკანონო პრივატიზაციით თითქოსდა სახელმწიფომ მიიღო 150 ათას 553 ლარის ზიანი. ტყეშელაშვილს პროკურატურის თანამშრომლები უყენებდნენ პირობას, თუ თავისუფლება გინდა, ეს თანხა გადაიხადეო. მათ ბრწყინვალედ იცოდნენ, რომ ასეთი თანხა ტყეშელაშვილს არ ჰქონდა, თუ არადა, აღნიშნული ტერიტორია უნდა დაგვითმოო. ტყეშელაშვილი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა – კატეგორიულად უარყოფდა გასხვისებას, მით უმეტეს, როცა ტერიტორია მილიონ ლარზე მეტი ღირს, ხოლო ისინი სთავაზობდნენ, რომ 150 ათას ლარის სანაცვლოდ გამოუშვებდნენ. ტყეშელაშვილის დაყოლიება ვერ მოახერხეს, მაგრამ ამ დროს ასპარეზზე გამოჩნდა იმ დროს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი. როგორც აღმოჩნდა, მის ინტერესებში შედიოდა აღნიშნული ტერიტორიის მითვისება. ქონების ხელში ჩასაგდებად ტყეშელაშვილის ოჯახის გარეთ დარჩენილ წევრებს, მისცეს განმარტება, რომ ზუსტად 150 ათასს გადაიხდიდა მოსკოვში მცხოვრები ალექსანდრე მერაბიშვილი (რომელიც აღმოჩნდა ვანო მერაბიშვილის ღვიძლი ბიძაშვილი) და შემდეგ მოხდებოდა პატიმრის გათავისუფლება. რასაკვირველია, მისი მეუღლე და ოჯახის წევრები დაინტერესებული იყვნენ 71 წლის კაცის თავისუფლებით და ყველა პირობაზე წავიდნენ. ზეწოლის შედეგად შს სამინისტრომ მისი ახლობლების საშუალებით მინდობილობის საფუძველზე მოახერხა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება 150 ათას ლარზე, იმ თანხაზე, რასაც, ფაქტობრივად, საპროცესო შეთანხმებისთვის ითხოვდნენ. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა იმ სიბინძურის სხვისთვის გადაბრალება, რასაც თვითონ ჩადიოდნენ წლების განმავლობაში. იმიტომ არის დღეს საზოგადოება აღშფოთებული. ამ კაცმა საკუთრება კი არ გაყიდა, არამედ ეს იყო თავისუფლების საფასური. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მივიდნენ ბანკში, შემდეგ ნოტარიუსთან და გააფორმეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ბანკიდან ის თანხა ნამდვილად გადმორიცხა.

– საინტერესოა, მერაბიშვილმა საკუთარი თანხა გადმორიცხა, რომელიმე სპეცანგარიშიდან გადმოირიცხა, თუ მისმა ბიძაშვილმა გადაიხადა?

– ეს გასარკვევია. ჩვენ მივმართეთ მთავარ პროკურატურას. უკვე რამდენიმე თვეა ადვოკატთა დიდი ნაწილი სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძვით. განცხადება ჯერ კიდევ 2012 წლის ნოემბრის ბოლოს შევიტანე, როცა უკვე ხელისუფლება შეიცვალა. მაშინ ახალი ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ სასწრაფოდ შეიქმნებოდა სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი კომისია. მიიღებოდა სამართლიანი გადაწყვეტილება. მას შემდეგ 6 თვე გავიდა. გუშინდელ დღემდე აღარ გვჯეროდა, რომ სამართლიანობა აღდგებოდა. ძალიან ბევრი მცდელობა მქონდა, რომ ტყეშელაშვილის საქმეზე რაიმე კანონიერი გადაწყვეტილება მიეღოთ. აღნიშნული განცხადება დევს განუხილველად. ვითხოვთ დადგინდეს, როგორ მოხდა, რომ ზუსტად იმ ოდენობის თანხა წარმოადგენდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძველს, რამდენიც თითქოსდა მიყენებული ჰქონდა პირს სახელმწიფოსთვის. ამბობენ, სამართალი ურმით დადისო. დარწმუნებული ვარ, დღეიდან ვითარება ჩიხიდან დაიძვრება, საგამოძიებო ორგანოები დაიწყებენ ამ საქმის გამოძიებას და ის ადამიანები, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი, დაისჯებიან, მით უმეტეს, დღეს აღნიშნული საკუთრება ვანო მერაბიშვილისაა. ეს იქ მცხოვრებმა ყველა პიროვნებამ იცის. საცხოვრებელ სახლში ჩატარებულია უმდიდრესი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მერაბიშვილსა და მისი ოჯახის წევრებს ხშირად ხედავდნენ იქ სარემონტო სამუშაოების დროს. რაც შეეხება ალექსანდრე მერაბიშვილს, ვინც თითქოსდა შეისყიდა აღნიშნული ქონება, საერთოდ არ ჩამოსულა, ადგილიც არ იცის. როცა მას დაუკავშირდნენ, გაირკვა, რომ მან ისიც არ იცის, სად არის. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება კი არსებობს, რომელიც გაფორმდა ალექსანდრე მერაბიშვილის წარმომადგენელ მერაბ მერაბიშვილსა და შპს-ს შორის. აქ სარემონტო სამუშაოებს ვინ აკეთებს, უკვე ნამდვილად მისახვედრია. ეს წარმოადგენს ვანო მერაბიშვილის საკუთრებას.

– ახლა ჩხრეკა მერაბიშვილის სახლში მანდ ჩატარდა, თუ იცით?

– არა. მას კიდევ აქვს საცხოვრებელი სახლი, რომელიც ასევე სხვის სახელზეა გაფორმებული. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ვანო მერაბიშვილს საცხოვრებელი სახლები მის სახელზე არ აქვს გაფორმებული. ყველა სხვის სახელზეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მის საკუთრებას არ წარმოადგენს, არ არის მის მფლობელობაში და ვანო მერაბიშვილი არ არის მათი რეალური განმკარგავი. უდიდესი რემონტი ჩაატარა. ორსართულიან სახლს ორი სართული კიდევ დააშენა ზემოდან. დღეისთვის, ფაქტობრივად, მზადაა საცხოვრებლად და დადასტურებულია, რომ ის სახლი ვანო მერაბიშვილის სახელზეა. იმედი მაქვს, საქართველოს პროკურატურა დაიწყებს აღნიშნული საკითხის შესწავლას და საბოლოოდ აღდგება სამართლიანობა.



## ზურაბ ხარატიშვილი პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა დღეს, ღია წერილით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართა.

როგორც კომისიის თავმჯდომარე წერილში აღნიშნავს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას თავს არიდებს.

„ბატონებო, მოგმართავთ, რათა უზრუნველყოთ კანონის მოთხოვნათა შესრულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ.

2013 წლის 27 აპრილს სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ბაღდათის 52 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა საჩივარი, სადაც მომჩივანი ითხოვს პოლიციის ბაღდათის რაიონული სამმართველოს უფროსის, გელა მშვილდაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 79-ე მუხლის შესაბამისად.

ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, საქმის დეტალურად შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ბატონი მშვილდაძე არაერთხელ იქნა დაბარებული საოლქო საარჩევნო კომისიაში ახსნა-განმარტების მისაცემად. სამწუხაროდ, აღნიშნული პიროვნება თავს არიდებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას. ამგვარ ვითარებაში საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია მიმართოს პოლიციას დახმარებისათვის, მაგრამ ვინაიდან საქმე ეხება პოლიციის სამმართველოს უფროსს, მივმართე შინაგან საქმეთა მინისტრს წერილობით და საჯაროდაც, რაზედაც პასუხი არ მიგვიღია. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ ეს არ იყო პოლიციის მხრიდან საარჩევნო პროცესის მიმართ არასწორი დამოკიდებულების ერთადერთი შემთხვევა 27 აპრილის შუალედური არჩევნების პერიოდში. აღნიშნული საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა 27 მაისს იწურება“ – ნათქვამია ზურაბ ხარატიშვილის მიმართვის წერილში.

**ნიუსპრესი**

## ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის გამსაღებლები დააკავა

დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს მოქალაქე გუსეინ გაჯიევი და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ისმაილ ქურდოღლი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა, 6 900 აშშ დოლარის ყალბი კუპიურა 4 500 აშშ დოლარად გაასაღეს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212 - ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 7 - დან 10 წლამდე ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

## ავთო ვარაზის ნამუშევრები ახალ გალერეაში გამოიფინება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მხატვრის ბავშვობიდანვე მისი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი, ჯოტო გრიგორიანი, კოჩარი, ელენე ახვლედიანი, ლეონოდ პოტაპოვი, ვასილ შუხაევი და სხვა ცნობილი პიროვნებები.

ავთო ვარაზმა ხატვა ადრე დაიწყო, ეცნობოდა ხელოვნების ისტორიას, ხშირად დადიოდა მუზეუმებში, არქიტექტურული ძეგლების სანახავად აგროვებდა რეპროდუქციებსა და წიგნებს მხატვრების შესახებ. მხატვარს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდშიც არ დაუნებებია თავი ხატვისთვის. მან სერგო ქობულაძის ყურადღებაც მიიპყრო. მის ფერმწერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მხატვარ ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვთან მეგობრობამ და მისგან მიღებულმა გაკვეთილებმა. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ავთანდილ ვარაზი ლადო გუდიაშვილს და მისი სახელოსნოს ხშირი სტუმარი გახდა. მას დავით კაკაბაძის შემოქმედებაც ხიბლავდა.

ავთო ვარაზი ძირითადად მუშაობდა პორტრეტისა და ნატურმორტის ჟანრში. გიორგი შენგელაიამ თავისი ფილმისთვის „ფიროსმანი“ ვარაზი სურათის მხატვრად მიიწვია, თუმცა მოგვიანებით მთავარი როლიც ათამაშა. ფილმმა დიდი წარმატება მოიპოვა. ერთი პრიზი ფილმის მხატვარსაც ერგო, ერთი კი მთავარი როლის შემსრულებელს. როცა ფილმი ბრიტანეთში, ფესტივალზე წარადგინეს, ყველა წავიდა, მაგრამ ავთო ვარაზი კი არ გაუშვეს, იქ დარჩებაო.

ავთო ვარაზმა გადაწყვიტა, თავისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო არაოფიციალურ, შინაურ გარემოში, რაშიც ელენე ახვლედიანი დაეხმარა, მაშინ, როცა თითქმის უკვე ყველაფერი დასრულებული იყო, ავთო ვარაზმა თავად თქვა უარი გამოფენის მოწყობაზე. მხატვარი 51 წლის ასაკში მარტში გარდაიცვალა, იმავე წლის მაისში კი მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო.

ამჯერად ავთო ვარაზის ნამუშევრები ახალ გალერეაში მისი თანამედროვე მხატვრების გვერდით კიდევ ერთხელ გამოიფინება.

# გიორგი კობახიძე: „ხელისუფლებას ნაცმოძრაობისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება აწყობს“

## რატომ არის აუცილებელი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის წევრი და „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კობახიძე ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებაში პოლიტიკურ მოტივებს ვერ ხედავს და აცხადებს, სანამ სამართლიანობა არ აღდგება და სანამ ხალხის დაკვეთას — დამნაშავეთა დასჯას — ხელისუფლება არ შეასრულებს, მანამ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვერ განვითარდება. კობახიძე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობაზე საუბრობს.**

**რა პირობის შესრულებას ითხოვს ბურჯანაძის თანაგუნდელი ხელისუფლებისგან და რატომ მაინცდამაინც ახლა, 26 მაისის წინ წარედგინა ბრალი მერაბიშვილს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ გიორგი კობახიძესთან.**

***— ბატონო გია, რას იტყვით ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე, იმავე 17 მაისის აქციასა და ტენდენციაზე, რომელიც გამოიკვეთა?***

— მე ვფიქრობ, რომ 17 მაისის აქცია თავისი გაგრძელებით არის წმინდა იდეოლოგიური კამპანიის შემადგენელი ნაწილი; ის უარყოფითი, რომლის წინააღმდეგაც ყოველთვის გამოდიოდა საქართველოს საზოგადოება და საქართველოს ეროვნული ძალები. თვითონ ეს აჟიოტაჟი გაცილებით აღემატება იმას, რასაც ეს კონკრეტული ფაქტი იმსახურებდა. ამაში, რა თქმა უნდა, წინასწარი გეგმა იკითხება, რომელიც უნდა ვიფიქროთ, რომ მთლიანად გარედან არის მართული იმდენად, რამდენადაც შიგნით იმ ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც თავს დაზარალებულად თვლიან, ამის ძალა არ გააჩნიათ. ვფიქრობ, ბევრი, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენელიც, აჰყვა ამ აჟიოტაჟს, რადგან მიაჩნიათ, რომ რაღაც უნდა ამტკიცონ, ვთქვათ, ეს არის ევროპაში ჩვენი ადგილის მოპოვების გზა, თუ რაღაცას უარყოფ და რაღაცას დაეთანხმები. ეს არის დიდი შეცდომა. მე მარტო ხელისუფლებაზე გავამახვილებ ყურადღებას იმიტომ რომ ნაციონალური მოძრაობა არანაირ ფაქტობრივ ინტერესს არ წარმოადგენს, არც ის დაჯგუფებები, რომლებიც ცდილობენ, ამ აჟიოტაჟს კიდევ უფრო მეტი ხმაური მისცენ. საქართველოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ის პოზიცია დაიჭირა, რომელიც ქართველი საზოგადოების პოზიციას უპირისპირდება. აქ არის საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლებისგან ერთი და იგივე ტექსტი იყო: რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, აქცია ჩაატაროს, რომ ძალადობა დასაგმობია; პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც გადაცდომა ჩაიდინა და ა.შ., ანუ რაღაც შეთანხმებული ტექსტები იყო. აქედანაც ჩანს, რომ ეს არ არის გულწრფელი დამოკიდებულება და ხელისუფლების მხრიდან ორმაგ სტანდარტსა და ორმაგ თამაშს აქვს ადგილი. მე ვფიქრობ, რომ ღრმა შინაარსი აქვს ამ ყველაფერს. ამას ასე უნდა შევხედოთ და პირდაპირ დავუსვათ კითხვა ყველას, ვისაც მოეთხოვება კითხვებზე პასუხის გაცემა: არის თუ არა ჰომოსექსუალიზმი ცოდვა. თუ არის ცოდვა, ე.ი. ის არის გარყვნილება. ბუნებრივია, ეს ჩვეულებრივ მოვლენად არ უნდა აღიქმებოდეს, ვინც ასე მიიჩნევს, მათი მხრიდან. ყველანაირად ცდილობენ, იმდენი ისაუბრონ, რომ საქმე ამ კითხვამდე არ მივიდეს. ამ კითხვაზე მიკიბულ-მოკიბული პასუხის შემთხვევაში, რასაც ველოდები, მერე მარტივად უნდა დავისვათ კითხვა: თქვენი შვილი ამ დამოკიდებულების რომ იყოს ცხოვრების მიმართ, რას გააკეთებდით? ამ შემთხვევაში უკვე გამოჩნდება, რეალურად ვინ რას ფიქრობს. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების წარმომადგენლების 90%-ზე მეტი იტყვის, მათ კარგად ვიცნობ, ან თავს მოიკლავს, ან შვილს მოკვეთს ოჯახიდან და თვითონაც გადაიხვეწება. ეს დამოკიდებულება ექნება ძალიან დიდ უმეტესობას. აი, ეს არის რეალობა. ამ შინაარსში წვდომას ყველა გაურბის. სიღრმეში ჩასვლას თავს არიდებენ და აყოლილი არიან თავს მოხვეულ განწყობებს, რომელსაც, საბოლოო ჯამში, ერთსქესიან ქორწინებებამდე მივყავართ. ამას თუ დავუშვებთ, ელემენტარულად, მე და ჩემისთანებს ამ



ქვეყანაში ადგილი არ გვექნება. ამ პერსპექტივას ვხედავ ასეთი გაგრძელების შემთხვევაში. საბედნიეროდ, ასეთი საქართველოში უმრავლესობაა.

***— ნაციონალური უმცირესობა ამტკიცებს, რომ ის, რაც ჰომოფობიის დღესთან დაკავშირებით რუსთაველზე შეკრებილი მცირე ჯგუფის აქციას მოჰყვა, საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანებას შეაფერხებს. ასეა?***

— ღირსების მქონე სახელმწიფოში საკითხი ასე არ უნდა დგებოდეს. მე უნდა ვიყო ისეთი, როგორიც ვარ. მერე ევროპამ გადაწყვიტოს. ეს არის არა პოლიტიკური და სამართლებრივი, არამედ წმინდა მორალური დატვირთვის მქონე და ერის შინაგანი მდგომარეობის მახასიათებელი საკითხი. რა თქმა უნდა, ყველა ვთანხმდებით, რომ ძალადობა მიუღებელია. როგორ შეიძლება, ვიღაცამ ვიღაცას ფიზიკური ტკივილი მიაყენოს, მაგრამ ის, რომ არ მინდოდეს არათუ ჩემს ოჯახში, არამედ ჩემს ქვეყანაში მსგავსი მანკიერება ფეხს იკიდებდეს, ეს არის ჩემი ნება და ჩემი მოთხოვნაც ამ ხელისუფლებისა და მომავალი ხელისუფლებების მიმართაც.

***— რა შეფასებას მისცემდით ვანო მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაპატიმრების ფაქტს? ჭიაბერაშვილის მიმართ სასამართლო მაინც უფრო ლმობიერი აღმოჩნდა. ნაციონალების პირველ განცხადებებში ჩანდა, რომ ეს დაპატიმრება 17 მაისის აქციის დროს მომხდარი ძალადობის გადასაფარად მოხდა.***

— მე, პირადად, ამ ყველაფერს ასე შევხედე: ახლოვდება 26 მაისი და ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. „ქართულ ოცნებას“ ქართველი ხალხისთვის თვალებში ჩახედვის პრობლემა შეექმნა. კბილაშვილიც, წულუკიანიც და სხვებიც „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობით მოვიდნენ იმ პოზიციებზე, რომელზეც დღეს არიან. აქედან გამომდინარე, კრიზისი, რომელიც თანდათან სიღრმეებში შედის, თვალსაჩინო გახდა თვითონ ამ ხელისუფლებისთვისაც 26 მაისის მოახლოებასთან ერთად. მას ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა. ორცეცხლშუა მოქცეულს ემსგავსება ხელისუფლების მოქმედება. ერთი მხრივ, კოაბიტაციას რა შინაარსი აქვს და როგორ კონკრეტდება კულუარულ დიალოგებში, ჩვენთვის ცნობილი არ არის. მეორე მხრივ, არის ქართველი ხალხი და ის პირობები, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთმანეთს მივეცით 1 ოქტომბრის არჩევნებამდე. ეტყობა, 26 მაისმა ხელისუფლებას ეს ვალდებულება, რომელიც მას თავისი მოქალაქეების მიმართ გააჩნია, უფრო მძაფრად შეახსენა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაიწყო მოქმედება და ეს არ არის მხოლოდ რაღაც გადაგორებაზე გათვლილი ნაბიჯი. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი გაცილებით სწრაფი ნაბიჯით შეიძლებოდა წასულიყო.

***— თქვენი აზრით, მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილს რეალური დანაშაულისთვის წარედგინათ ბრალი და აქ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარი ზედმეტია?***

— ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ბევრი დანაშაულია ჩადენილი. ვიცით, რომ ამ დანაშაულზე პასუხისმგებელი არის სისტემა, რადგან დავარქვით, რომ სისტემურ დანაშაულს ჰქონდა ადგილი ყველა მიმართულებით, ეს იქნებოდა გარეთ, თავისუფლებაში თუ ციხეში. სისტემას მართავდნენ მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და კიდევ დაახლოებით 5-6 კაცი, რომელთა გვარებსაც ნებისმიერი ქუჩაში გამვლელი გეტყვით. ბუნებრივია, ჩვენ ამ დამნაშავეთა დასჯას ველოდებით. ბრძანება ამან გასცა და პოლიტიკური გადაწყვეტილება იმან მიიღო. ეს უკვე არის შესაბამისი ორგანოების კვლევა-მტკიცების პრეროგატივა. მაგრამ ჩვენ ველოდებით ყველა იმ დანაშაულზე პასუხისგებას, რომელიც ყველასთვის ღია და ცნობილია, ამასთან, ათასჯერ გადახარშული ღია დიალოგების დროს. მთელი ეს პროტესტი, რომელიც მთლიანად მიმდინარეობდა ქვეყანაში და ის პროტესტიც, რომელიც 1 ოქტომბერს დადგა, სწორედ აქედან მომდინარეობდა. ბუნებრივია, ჩვენ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას ველოდებით, ეს კითხვა კი უამრავია. რა თქმა უნდა, ყველას გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ დანაშაულების კვალი მიდის სააკაშვილისკენ, მერაბიშვილისკენ და ა.შ.

***— პრეზიდენტის თქმით, ერთადერთი და მთავარი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი დაიჭირა ივანიშვილის ხელისუფლებამ და ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. სააკაშვილის შეფასებით, მსგავსი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.***

— სააკაშვილი იმდენად უღირსებოა 1-ლი ოქტომბრის შემდგომ პერიოდში შინ თუ გარეთ, იმდენად დაკარგული აქვს თავმოყვარეობა, რომ მის გამონათქვამებზე კომენტარის გაკეთება ჩემი მხრიდან საკუთარი თავის შეურაცხყოფა იქნებოდა. მის ყველა განცხადებაზე ერთადერთი პასუხი მაქვს: ხმა ჩაიკმინდე, შე არარაობავ.

***— დასავლური უწყებების წარმომადგენლები და ქართველი დიპლომატები ჭიაბერაშვილის დაპატიმრებას ოფიციალური განცხადებებით გამოეხმაურნენ და თავდებობაც იტვირთეს სასამართლოს წინაშე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კი პირველად გააკეთა განცხადება ამ ტონში, მოვუწოდებ და ვურჩევ ყველას, სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაემორჩილოს და, უკმაყოფილების შემთხვევაში, გაასაჩივროს. რაში დასჭირდა კუბლაშვილს მოწოდებები. კარგად გვახსოვს, მას სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებები წინა ხელისუფლების დროს დისკომფორტს არ უქმნიდა და არც ერთი მოწოდება არ გაუკეთებია ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.***

— კუბლაშვილი წინა ხელისუფლების დროს სახელისუფლებო პასუხისმგებლობას ატარებდა და მას ნაცმოძრაობის პასუხისმგებელი პირი ერქვა. მას სხვადასხვა ხარისხის ბრალი მიუძღვის ქართველი საზოგადოების წინაშე. ამ ადამიანების ძველი საქმიანობა ასევე ითხოვს სერიოზულ გამოკვლევას. როცა 200 პოლიტპატიმარი ჰყავს ქვეყანას, როგორ შეიძლება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი არ იდგეს?! ამიტომ სამართლიანობის აღდგენის გარეშე ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე ვერ დადგება. ცხოვრება ნორმალურ ჩარჩოებში ვერ ჩადგება, სანამ, პირველ რიგში, ცვლილებებს არ შევიტანთ კონსტიტუციაში და არ ჩავატარებთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს.

***— უნდა იყოს თუ არა ამ ვითარებაში საუბარი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამნისტიაზე?***

— ამიტომ ვლაპარაკობ, რომ სანამ არ იქნება სამართლიანობის აღდგენა და ყველა დამნაშავე არ დაისჯება, მანამ არაფერი გამოვა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას აწყობს ნაცმოძრაობისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება. არ შეიძლება, შენ გინდოდეს და აღიარებდე პოლიტიკურ სუბიექტად ამ დამნაშავე ძალას. აღიარებენ ნაცმოძრაობას ასე გამოკვეთილ მეორე ძალად და დღესაც ამხელა საშუალებების მქონე ძალად რჩება. დღესაც ახდენს ეს ძალა ქვეყნის განვითარებაზე მნიშვნელოვან მძიმე გავლენას. ეს ყველაფერი ხდება განზრახ. ხელისუფლება ამ ყველაფერს რატომღაც გვერდიდან უყურებს. ვიმეორებ, შთაბეჭდილება მექმნება, რომ ეს ფონი ხელისუფლებისთვის დროის მოგების მიზნით არის საჭირო, რადგან აშკარად პროცესები არ მიდის იმ ტემპით, რომელიც არის საჭირო. ჩვენ ამას წინასწარვე ვამბობდით. როდესაც 1-ლი ოქტომბრის არჩევნებში ოცნებას მხარს ვუჭერდით, ვამბობდით, ეს არის ორი რამისთვის საჭირო. ერთი — იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობა მოვაშოროთ ქვეყნის მართვის სადავეებს და მეორე — გაჩნდეს შანსი, რომ შევცვალოთ პოლიტიკური სისტემა ქვეყანაში. პოლიტიკური სისტემის შეცვლის მიმართულებით დღეს ქვეყანაში ნაბიჯები არ იდგმება, რადგან პირობა ორპუნქტიანი იყო. იმ პირველი პუნქტის შესრულებაზე ვერ გავჩერდებით და ვერ დავკმაყოფილდებით. მეორე მოთხოვნასაც იმ სიმწვავით დავაყენებთ, რაც საჭიროა და მანამ არ გავჩერდებით, სანამ შედეგი არ დადგება.

# გურამ ოდიშარიამ თბილისის წიგნის ფესტივალი გახსნა

ეკა ირემაშვილი

თბილისის წიგნის რიგით მეთხუთმეტე საერთაშორისო ფესტივალი „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გახსნა.



წიგნის ოთხდღიანი საიუბილეო ბაზრობა 23-26 მაისს „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში ჩატარდება და მასში 66 გამომცემლობა, წიგნის გამავრცელებელი კომპანია, მაღაზია და საერთაშორისო ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალის ფარგლებში მწერლის სახლში მოეწყო ფესტივალის კატალოგის პრეზენტაციაც.

– ბაზრობის ფარგლებში ჩატარდება წიგნების პრეზენტაციები და მწერალთა კითხვები როგორც მთავარ სცენაზე, ისე გამომცემლობების სტენდებთან, ასევე გაიმართება ლიტერატურული პორტალის ლიბრივივი.ჯი-ს პრეზენტაცია კაფე „ლიგამუსში“ და შეხვედრები დათო ტურაშვილთან, პაატა შამუგიასთან, ლევან ბერძენიშვილთან და სხვა ცნობილ მწერლებთან თუ პოეტებთან. წელს საიუბილეო ფესტივალია, სადაც ძირითადი ღონისძიებები მთავარ სცენაზე მოეწყობა და მთელი დღის განმავლობაში ფესტივალის სტუმრები ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას დაესწრებიან, – აღნიშნა წიგნის ფესტივალის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაშო სამადაშვილმა.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1998 წლიდან იმართება და წლიდან წლამდე მისი მასშტაბები სულ უფრო ფართოვდება.

– თბილისში 15-მდე უცხოელი გამომცემელია ჩამოსული. მათ მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგში, რომელსაც კულტურის სამინისტრომ უმასპინძლა. ჩვენი სტუმრები წიგნის ფესტივალზე დაგეგმილ ღონისძიებებსაც დაესწრებიან. ამ გამომცემლებს მივიყვანთ ფესტივალზე და უშუალოდ გაეცნობიან ქართველ გამომცემლებსა და ავტორებს, – აღნიშნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის უფროსმა დეა მეტრეველმა.

წიგნის ფესტივალის გახსნას წინ უძღოდა რიგით მესამე ორდღიანი ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უმასპინძლა. ეს ღონისძიება გამომცემლებისთვის, მთარგმნელებისა და მწერლებისათვის მოეწყო. ფორუმ-დიალოგის მიზანია ხელი შეუწყოს, როგორც უცხოური ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში, ასევე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

– ეს გახლავთ წიგნის ფორუმ-დიალოგი, რომელიც გულისხმობს გამომცემელთა, მწერალთა, მთარგმნელთა და ლიტერატურულ აგენტთა დიდ თანამშრომლობას. 10-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს ამ ღონისძიებაში, ბევრი სტუმარი გვყავს და ეს არის მოხსენებებისა და დისკუსიების ციკლი. მომავალში კიდევ უფრო ბევრი მკითხველი ეყოლება ქართულ ლიტერატურას. ეს არის დასაბამი ანუ პირველი ნაბიჯი, რომელიც გაგრძელებას ჰპოვებს თბილისის მეთხუთმეტე წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც 23 მაისს გაიხსნება. წელს ამ ღონისძიებაში 66 გამომცემლობა მიიღებს მონაწილეობას და თავის გამოცემებს წარმოადგენს, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა.

ორდღიანი ფორუმის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაციები და მოეწყო დისკუსიები საგამომცემლო და ლიტერატურულ სფეროში. ფორუმში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლები და ლიტერატურული აგენტები დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან, შვეიცარიიდან.

გერმანულმა დელეგაციამ აღნიშნა:

– ეს ღონისძიება ნამდვილად მნიშვნელოვანი ფორუმია როგორც ქართული ლიტერატურისთვის, ასევე საერთაშორისო ჭრილში. მსოფლიოში ყველამ უნდა გაიგოს და გაიცნოს ქართული ლიტერატურა. ეს ფორუმიც გაცნობითი ხასიათისაა და მომავალში საკმაოდ წარმატებული ერთობლივი პროექტები განხორციელდება.

ფორუმ-დიალოგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 22 მაისის ჩათვლით გაიმართა, დასრულების შემდეგ კი, 23 მაისიდან, უცხოელი გამომცემლები თბილისის წიგნის მე-15 საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე იქნენ მიწვეული.

ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტის, ბრიტანეთის საბჭოსა და ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით მოეწყო.

თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მხარდაჭერით იმართება. ფესტივალში მსურველთა რეგისტრაცია 19 აპრილს დასრულდა.

ფესტივალის ფარგლებში „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონში მოეწყობა წიგნის პრეზენტაციები და მწერალთა კითხვები როგორც მთავარ სცენაზე, ისე გამომცემლობების სტენდებთან, ღონისძიებები ასევე ჩატარდება ქალაქის მასშტაბით – ლიტერატურული პორტალის ლიბრივივი.ჯი-ს პრეზენტაცია კაფე „ლიგამუსში“; 25 მაისს ქალ მწერალთა ანთოლოგია „შავი ავაზის“ პრეზენტაცია მწერლის სახლში; 26 მაისს ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მთლიანობაში ფესტივალის ფარგლებში 50-მდე ლიტერატურული ღონისძიებაა დაგეგმილი.

წიგნის ფესტივალის პროგრამა მთლიანობაში საკმაოდ მრავალფეროვანია. მისი გახსნა დაიგეგმა მწერალ თეონა დოლენჯაშვილთან შეხვედრითა და დისკუსიით მთავარ სცენაზე, რომელიც გამომცემლობა „სიესტამ“ წარმოადგინა. ფესტივალის პროგრამის ფარგლებშია: ანა კორძაია კითხულობს ნაწყვეტებს კორნელია ფუნკეს „ქურდების მბრძანებლიდან“ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სტენდთან; დისკუსია-პრეზენტაციები გერმანული ლიტერატურის შესახებ, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის სტენდი; „ინგლისური წიგნი საქართველოში“ კომპანიის პრეზენტაცია; „მადლის ქვა“ – შეხვედრა მწერალ მიხო მოსულიშვილთან, გამომცემლობა „სიესტა“ მთავარი სცენა; პალიტრა ელის წარდგენა და ბიბლუსის დაჯილდოება, გამომცემლობა პალიტრა ელი, მთავარი სცენა;

24 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხა ასეთია: შეხვედრა მწერალ დიანა იანსესთან, მოდერატორი ლიკა ჩაფიძე, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის სტენდი; საუბარი ნორვეგიულ ლიტერატურაზე: კახა ლორია – კნუტ ჰამსუნზე, თამარ კვიჟინაძე – ოსნე საიეშტადზე, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სტენდი; საუბარი ოგიუსტ სტრინდბერგზე – ლაშა ბუღაძე, ბაკურ სულაკაური და ლიკა ჩაფიძე, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სტენდი; შეხვედრა პოეტ პაატა შამუგიასთან, გამომცემლობა „სიესტა“ მთავარი სცენა; ელექტრონული წიგნები ლიტ.ჯის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გია ყანჩელზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგის სპეციალობის დაუფლების შემდეგ კომპოზიტორმა დიპლომის აღებისთანავე სწავლა გააგრძელა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე. მისი დასრულების შემდეგ მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ, გახდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.

მიუხედავად იმისა, რომ გია ყანჩელი ფართო საზოგადოებისთვის მაინც თავისი კინო და თეატრალური მუსიკით არის ცნობილი, მუსიკათმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი სიმფონიური თხზულებები. მის მიერ შექმნილმა სიმფონიამ „ინ მემორია მიქელანჯელო“ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა. გია ყანჩელის შემოქმედებით მემკვიდრეობას განეკუთვნება ოპერა „და არს მუსიკა“, 6 სიმფონია, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისათვის, ლარგო და ალლეგრო სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის, „სევდა ნათელი“ – ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, მუსიკა სპექტაკლებისთვის „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, მუსიკა კინოფილმებისთვის „არ დაიდარდო“, „ქვევრი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მიმინო“, „შერეკილები“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“.

ამჟამად კომპოზიტორი 78 წლისაა და დღესაც ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას. ხელოვანი არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია – „საქართველოს სახალხო არტისტი“, შოთა რუსთაველის პრემია, ღირსების ორდენი, „ნიკე“ კინოში შექმნილი მუსიკისათვის, ვოლფის პრემია ხელოვნებაში.

გია ყანჩელზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის რეჟისორია ირინა ხანგოშვილი, ოპერატორი – თეიმურაზ გაბაშვილი. როგორც შემოქმედებითი ჯგუფი განმარტავს, 2012 წლის ოქტომბერში ქალაქ ასტანაში (ყაზახეთი), დოკუმენტურმა ფილმმა „გია ყანჩელის სევდა ნათელი“ საერთაშორისო ფესტივალის „ტეფი – თანამეგობრობის“ ჯილდო დაიმსახურა.

ეკა ირემაშვილი


## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# ელ შაარავი: „თავისუფალ დროს სახლში ვატარებ — ტელევიზორს ვუყურებ, ან პლეისტეიშენს ვთამაშობ“



**სტეფან ელ შაარავიმ თინეიჯერულ ასაკში აალაპარაკა საფეხბურთო სამყარო. „მილანის“ შემტევმა რამდენიმე შესანიშნავი და დასამახსოვრებელი მატჩი უკვე ჩაატარა და გულშემატკივართა გულებიც მოიგო. ფეხბურთელმა ფანების კითხვებს სოციალურ ქსელ ტვიტერის საშუალებით უპასუხა.**

***— რამდენ დროს ხარჯავთ ვარცხნილობის გაკეთებისთვის? რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის გარეგნობა?***

— ამჯერად სასურველი ვარცხნილობა მაქვს და მასზე მხოლოდ 10 წუთს თუ ვხარჯავ. რაც შეეხება გარეგნობას, ის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ახალგაზრდა ბიჭისთვის, როგორიც შენ ხარ, რას ნიშნავს ითამაშო „სან სიროზე“?***

— ეს განუმეორებელი შეგრძნებაა! ყოველთვის გული შემტკივა „მილანზე“, ეს არის სიზმარი, რომელიც ცხადში ხდება. ითამაშო და გაიტანო ფანების წინაშე — ეს ფანტასტიკაა. მსურს ამ კლუბის ისტორიაში შევიდე.

***— ინსინიესთან ერთად გსურთ თამაში?***

— რა თქმა უნდა, ის შესანიშნავი ფეხბურთელია. კვირას ცოტა ვისაუბრეთ კიდეც, რადგან ჩვენ მეგობრები ვართ. ახალგაზრდულ ნაკრებში ერთად ვიყავით.

***— ალეგრისთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?***

— შესანიშნავი. მისგან ძალიან ბევრ რჩევას ვიღებ, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთაც. ის ჩემთვის მამასავითაა. მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები.

***— მზად ხართ თუ არა კლუბისთვის ყველაფერზე წახვიდეთ?***

— თუ მსურს კლუბის ისტორიაში შევიდე, ბევრი რამის გაკეთება მომიწევს. ბოლომდე უნდა დავიხარჯო და ყველაფერი გავაკეთო, რაც შემეძლება, ან არ შემეძლება. ამ ეტაპზე კარგი პერიოდი მიდგას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო.

***— კარიერაში ყველაზე მეტად რომელი მწვრთნელი დაგეხმარათ?***

— ალეგრი, მაგრამ არ მავიწყდება ჩემი პირველი მწვრთნელიც.

***— გარდა 92-სა, კიდევ რომელი ნომერი მოგწონთ?***

— ძალიან მომწონს ეს ნომერი. წლებია წარმატება მოაქვს ამ ნომერს ჩემთვის.

***— მომავალში რა გეგმები გაქვთ?***

— „მილანში“ დარჩენა მსურს დიდი ხნის განმავლობაში. მინდა ამ კლუბის ისტორიის წევრი გავხდე.

***— პოპულარული ხარ, როგორი შეგრძნებაა?***

— ძალიან მშვიდად ვხვდები ამ ფაქტს. განსაკუთრებული იყო, ამას მსხვერპლის გაღება და ბევრი მუშაობა სჭირდება, მაგრამ ამას მე დიდი სიამოვნებით ვაკეთებ, რადგან მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო საქმეს ვაკეთებ.

***— თავისუფალ დროს რას აკეთებ?***

— თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს სახლში ვატარებ. ტელევიზორს ვუყურებ, ან პლეისტეიშენს ვთამაშობ. ასევე ჩემს ძმასთან ერთად სხვადასხვა ჩემთვის უცნობ ადგილებში დავდივარ.

***— როგორ შეეგუეთ ისეთ დიდ ქალაქს, როგორიც მილანია?***

— თავიდან რთული იყო, აქ სულ სხვანაირია ცხოვრება, სხვა რეალობაა. მაგრამ ამ ქალაქში ვმუშაობ და შევეჩვიე ქალაქს, რაც მამაჩემის დამსახურებაცაა. აქ შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს, ნამდვილი ჩემპიონები.

***— გაქვთ თუ არა საყვარელი კერძი, რომლის გარეშეც არ შეგიძლიათ?***

— არა, არაფერი განსაკუთრებული. ამ მხრივ ყველაფერი კარგად მაქვს. ჩემს ფიზიკურ მონაცემებს ძალიან ვუფრთხილდები და ამიტომაც ჭამის რეჟიმიც მოგვარებული მაქვს.

***— კაკა თქვენი კუმირია. მისგან რას იღებთ? რა იგრძენით მას რომ შეხვდით?***

— ეს ძალიან ძლიერი გრძნობა იყო. ის ძალიან კეთილია, როდესაც ვთხოვე ჩემთვის მაისური მოეცა, არც დაფიქრებულა, იმ წამსვე მომცა. მას ხშირად მადარებდნენ, განსაკუთრებით კარიერის დასაწყისში.

***— თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი გოლი...***

— „სან სიროზე“ „მილანის“ მაისურით გატანილი პირველი გოლი „უდინეზეს“ კარში.

***— როგორი დამოკიდებულება გაქვთ ალეგრისა და პრანდელისთან?***

— ერთნაირი. ეს ორი შესანიშნავი მწვრთნელია, რომლებიც მნიშვნელოვან რჩევებს მაძლევენ. მათი მადლობელი ვარ.

***— რა ურთიერთობა გაქვთ ბალოტელისთან?***

— ერთად შესანიშნავად ვთამაშობთ. ერთმანეთს კარგად ვუგებთ, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთაც. ბევრს ვსაუბრობთ და კარგი მეგობრები ვართ.

***— რომელ სტადიონზე გსურთ თამაში?***

— მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ძალიან მინდა ვნახო როგორია სინამდვილეში.

***— რას გრძნობ, როცა გოლი გაგაქვს?***

— ეს შესანიშნავი გრძნობაა, განსაკუთრებული გრძნობაა მაშინ, როცა სახლში გაგაქვს და გულშემატკივრის შეძახილები გესმის.

***— შეგიძლია გახდე ისეთი, როგორიც შევა იყო?***

— შესაძლებელია.

***— გადახვალ „ინტერში“?***

— ეს შეუძლებელია.

***— ისეთი კარგი მამა იქნებით, როგორიც თქვენი მამაა?***

— შესაძლოა.

***— რას იტყვით მესიზე?***

— ის ძალიან კეთილი და დიდი ფეხბურთელია.

# დინამომ სეზონი დუბლით დახურა



**დინამო (თბ) – ჩიხურა 3:1**

**<u>თბილისი. მიხეილ მესხი</u>**

**<u>1:0 მერებაშვილი (58), 2:0 ხმალაძე (63), 3:0 ძარია (74), 3:1 საჯაია (90)</u>**

**<u>მე-14 წუთზე ჩისკომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)</u>**

**დინამო**: ლორია, უსტარიცი, კვარაცხელია, სეთურიძე, ხმალაძე, გრაიციარი, გლიშიჩი, მერებაშვილი (მილხრაუმი 89), ძარია, ჩისკო (პაპავა 90), დვალი (კოტორ 90)

**ჩიხურა**: სომხიშვილი, ჭელიძე, კვასხვაძე, ბოლქვაძე (ქიმაძე 71), დიღმელაშვილი (კირკიტაძე 61), ლომაშვილი, ჩიკვაიძე, გოცირიძე, დეკანოიძე, საჯაია, კაშია

**გაძევება**: უსტარიცი (78)

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ საჩხერის „ჩიხურა“ 3:1 დაამარცხა და ისტორიაში მეათედ დაეუფლა პრესტიჟულ პრიზს.

ფავორიტად, „დინამო“ ითვლებოდა, აკი განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ჩიხურას“ მწვრთნელმა, სოსო ფრუიძემ — ჩვენი ამოცანა უკვე შევასრულეთ, ევროტურნირის საგზური მოვიპოვეთ. თასის აღებას არავინ გვთხოვს, გამოვალთ და თავისუფლად ვითამაშებთო.

ითამაშა კიდევაც თავისუფლად „ჩიხურამ“, თუმცა, მხოლოდ პირველ ტაიმში, მეორეში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

დინამოელებს დაშავებული მიკელ ალვარო და გიორგი შაშიაშვილი აკლდათ, ხოლო საჩხერელებს „დინამოდან“ განათხოვრებული დავით ოდიკაძე და გიორგი რეხვიაშვილი, რომლებსაც ურთიერთმოლაპარაკების მიხედვით, თამაშის უფლება არ ჰქონდათ. თბილისელებმა კოლეგიალობა მაინც გამოიჩინეს, მოწინააღმდეგეებს სფფ-ში უშუამდგომლეს და დისკვალიფიცირებულ ედიკ საჯაიასა და დავით ბოლქვაძეს თამაშის უფლება მიეცათ.

ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა, თუმცა დინამოელებს პირველ ნახევარშივე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ მე-14 წუთზე საჩხერელთა მეკარემ გიორგი სომხიშვილმა დინამოს ესპანელი ბომბარდირის ჩისკოს პენალტი მოიგერია. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა კი, გიორგი მერებაშვილის წაქცევისთვის დაინიშნა.

მანამდე ირაკლი ძარიამ დაარტყა სახიფათოდ და ბურთი კარს ზემოდან ოდნავ გადასცდა, ხოლო საჩხერელი ნიკო კვასხვაძე შეიჭრა თბილისელთა საჯარიმოში, თუმცა დარტყმა არ გამოუვიდა.

ეს იყო და ეს — პირველ ტაიმში მეტი არაფერი მომხდარა.

თამაშის განახლებას დინამოს გააქტიურება მოჰყვა, 59-ე წუთზე კი თბილისელთა მორიგ შეტევას მერებაშვილის ეფექტური გოლი მოჰყვა: გიორგიმ კარგად ჩამოიცილა მეურვე და სომხიშვილს შორეულ, ზედა კუთხეში გაუტანა გოლი — 1:0.

ზუსტად 5 წუთში უჰრინის გუნდის უპირატესობა გაორმაგდა: მერებაშვილის კუთხურს შეტევაში ჩართულმა ლევან ხმალაძემ თავური შეაგება — 2:0. მალე საჩხერელთა კარის ბადე მესამედაც შეირხა: ირაკლი ძარიამ მცველებს დაასწრო და უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი — 3:0.

მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის უკანასკნელ წუთზე ჩიხურამ ერთი საპასუხო გოლის გატანა მაინც შეძლო: კუთხურის შემდეგ დინამოელებმა უყურადღებოდ ითამაშეს და გამოცდილმა ედიკ საჯაიამ ყველას დაასწრო — 3:1. მანამდე თბილისელთა მეკარე გიორგი ლორიამ 3 სახიფათო დარტყმა მოიგერია, ერთხელ ბურთი მისი კარის ხარიხას მოხვდა, თავის მხრივ, მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯაბა დვალმა კი დარტყმა დააგვიანა და ხელსაყრელი მომენტიც გააცუდა.

**სოსო ფრუიძე:**

— ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ევროპის ლიგაზე საშინაო თამაშებს სად ჩავატარებთ. რაც შეეხება გაძლიერებას, გუნდს ეს სჭირდება, რამდენიმე ფეხბურთელის დამატება აუცილებელია. ჩვენი გუნდის პოლიტიკის მიხედვით, აქცენტს ლეგიონერთა მოწვევაზე არ ვაკეთებდით. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა რასაც გადაწყვეტს, იქიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ.

***— ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს გუნდი მეორე ტაიმში „დაიკარგა“.***

— გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღვნიშნე, რომ „დინამოს“ კარგი ინდივიდუალისტები ჰყავს, რაც შეტევაში მათ წარმატებას განაპირობებს. დღევანდელ თამაშში გადამწყვეტი საშემსრულებლო ოსტატობა აღმოჩნდა. ჩვენ უიმედოდ არ ვიყავით. პირველ ნახევარში რამდენიმე საგოლე მომენტიც გვქონდა, მაგრამ სწორედ საშემსრულებლო ოსტატობა დაგვაკლდა. გაიმარჯვა უძლიერესმა. თბილისის „დინამო“ დღესდღეობით ჩვენზე ძლიერი გუნდია...

**დუშან უჰრინი:**

— მთავარი, რაც მეორე ტაიმში შეიცვალა, ეს უფრო მეტი კონცენტრაციით თამაში იყო. შესვენებაზე სწორედ ამაზე ვისაუბრეთ.

***— ჩემპიონთა ლიგისთვის მზადებას როდის დაიწყებთ? გუნდს გაძლიერება თუ დასჭირდება?***

— პირველ ყოვლისა, არდადეგებზე ვფიქრობთ, რადგან აქამდე ჩვენი მიზანი ჩემპიონობა და თასის მოგება იყო. ეს ამოცანა შევასრულეთ და ბედნიერები ვართ. არის საუბარი ერთი-ორი მოთამაშის დამატებაზე. მთავარია, შევინარჩუნოთ ის გუნდი, რაც ახლა გვყავს...

**ჯაბა დვალი:**

— ჩემპიონები გავხდით და თასი ავიღეთ. ყველა გახარებული ვართ, რადგან დუბლი შევასრულეთ. ახლა კარგად უნდა დავისვენოთ და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოვემზადოთ.

# ქართველი კალათბურთელები ჩემპიონობას 3 ქვეყანაში უმიზნებენ

**საქართველოს ნაკრების სამი კალათბურთელი გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე უკრაინის, თურქეთისა და იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძვიან.**

გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკმა“ ფინალური სერიის გათანაბრება და, შესაბამისად, მოედნის უპირატესობის დაბრუნება მოახერხა. კიევური გუნდი მარიუპოლში „აზოვმაშს“ შეხვდა და 80:63 გაანადგურა. ამ გამარჯვების შემდეგ სერიაში ანგარიში გახდა 2:2, ჩემპიონი კი 4 გამარჯვების შედეგად გამოვლინდება.

სერიის მე-4 მატჩი კიეველთა უპირატესობით დაიწყო და ისე გაილია მთელი შეხვედრა, მასპინძლებმა ჩამორჩენის შემცირება ვერ მოახერხეს. გიორგი ცინცაძე კიეველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ქართველმა უკანახაზელმა მოედანზე 34 წუთი გაატარა, რის განმავლობაშიც 10-დან 5 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიან კი ააცილა.

12 ქულასთან ერთად ცინცაძემ პირად ანგარიშზე 3 მოხსნა და 1 პასიც ჩაიწერა. საუკეთესო მოთამაშე მიხაილო ანისიმოვი გახდა, რომელმაც 23 წუთში 16 ქულა მიითვალა. ფინალური სერიის მომდევნო მატჩი კიევში, 26 მაისს გაიმართება.

მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. სტამბოლურმა გუნდმა მეოთხედფინალური სერიის მეორე, გასვლითი მატჩიც მოუგო ბურსას „თოფაშს“ და ჯერჯერობით 4 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

ბურსაში სტამბოლელებმა მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობეს და საბოლოოდ გამანადგურებელი ანგარიშით — 82:49 გაიმარჯვა.

მარკოიშვილმა 5-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 9 ქულა მოაგროვა და ამას 5 ჩაჭრა, 1 პასი და 1 მოხსნა მიამატა. „გალათასარაიში“ 21 ქულით საუკეთესო იამონ გორდონი გახლდათ, ხოლო მილან მაჩვანმა 11 ქულა დააგროვა.

„გალათასარაის“ ნახევარინალში „ქარშიაქა“ შეხვდება, რომელმაც საჩემპიონო ბრძოლას „ფენერბაჰჩე“ ჩამოაშორა.

ვიქტორ სანიკიძემ ერთ-ერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანი მატჩი ჩაატარა „სიენაში“. ქართველმა ფორვარდმა იტალიის ჩემპიონს მეოთხედფინალური სერიის მე-7, გადამწყვეტი შეხვედრის მოგებაში დაეხმარა და ნახევარფინალში გაიყვანა. საქართველოს ნაკრების წევრი მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, „სიენამ“ კი „ემპორიო არმანი“ მილანში 10 ქულის სხვაობით — 90:80 დაამარცხა.

პირველად, სერიაში ის ტრადიცია დაირღვა, რომლის მიხედვითაც მასპინძელი გუნდი იგებდა. მეოთხედფინალური სერიის წინა 6-ივე შეხვედრაში იმ გუნდმა იმარჯვა, რომელიც მასპინძელი იყო. ყოველ მომდევნო მატჩში სიენელებს ანგარიშის გათანაბრება უწევდათ, ხოლო როცა საქმე ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრამდე მივიდა, სანიკიძის წინამძღოლობით „სიენამ“ იმარჯვა და უხერხული მეტოქე გზიდან ჩამოიშორა.

სიენელებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს, თუმცა თუ პირველ ტაიმში სანიკიძის გუნდის ლიდერობა მინიმალური იყო, დიდი შესვენების შემდეგ სხვაობამ სოლიდური სახე მიიღო. „მონტეპასკიმ“ მოახერხა და კარგად დაწყებული მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. სანიკიძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა 30 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 17 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. პირველ ტაიმში ქართველი ფორვარდის ანგარიშზე მხოლოდ 5 ქულა, იყო, თუმცა მეორე ნახევარში სანიკიძემ დანიელ ჰაკეტისთან ერთად სიენელთა ლიდერობა ითავა და საქმე გამარჯვებით დააგვირგვინა.

სანიკიძემ 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ვიქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 19 შეადგინა, რაც სიენელთა შორის მეორე შედეგი იყო იტალიის ეროვნული ნაკრების წევრის — დანიელ ჰაკეტის (28) შემდეგ. ჰაკეტიმ 36 წუთში 25 ქულა მიითვალა. სანიკიძის დარად, 17 ქულა ჰქონდა ამერიკელ ბობი ბრაუნსაც.

ნახევარფინალში გასული „სიენა“ რეგულარული ჩემპიონატის მომგებ „ვარეზეს“ შეხვდება. მეორე ნახევარფინალში კი „კანტუ“ და „რომა“ დაუპირისპირდებიან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

**<u>ფეხბურთი</u>**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ომანი-ირანი | 3:1 |
| ვენესუელა-სალვადორი | 2:1 |

**იტალია. სერია ბ**

**პლეი ოფები**

| | |
|---|---|
| ბრეშა-ლივორნო | 1:1 |
| ნოვარა-ემპოლი | 1:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სერვეტი-სიონი | 4:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ადმირა-რაპიდი | 0:2 |
| აუსტრია-მატერსბურგი | 4:0 |
| ინსბრუკი-შტურმი | 2:1 |
| ნოიშტადი-ვოლფსბერგერი | 2:0 |
| რიდი-ზალცბურგი | 2:2 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| იანინა-ატრომიტოსი | 1:1 |
| ასტერასი-პაოკი | 1:2 |

**თურქეთი. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ფენერბახჩე-ტრაბზონი | 1:0 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბანიკი-დუკლა | 2:2 |
| იიჰლავა-სლოვაცკო | 1:1 |
| ბოლესლავი-იაბლონეცი | 1:1 |
| სლავია-ბუდეოვიცე | 3:0 |
| სიგმა-პლზენი | 0:1 |
| ბრნო-სპარტა | 3:2 |

**უკრაინა. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| შახტარი-ჩერნომორეცი | 3:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გეფლე-გიოტებორგი | 1:1 |
| აიკი-დიურგარდენი | 1:1 |

**<u>კალათბურთი</u>**

**ნბა. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| მაიამი-ინდიანა | 103:102(ოტ) |
| სერიის ანგარიში: | 1:0 |

**<u>ჰოკეი</u>**

**ნჰლ. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ოტავა-პიტსბურგი | 3:7 |
| სერიის ანგარიში: | 1:3 |

# ქართული ფილმი საერთაშორისო კინოსკოლების ფესტივალის გამარჯვებულია

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო კინოსკოლების ფესტივალის „გრან პრი“ ქართულ ფილმს გადაეცა. როგორც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ აღნიშნა, ფესტივალის მთავარი პრიზი ქართულ ფილმს გადაეცა:

– 14-18 მაისს პორტუგალიის ქალაქ პორტოში გაიმართა მსოფლიო კინოსკოლების მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 ქვეყნის 20-მდე კინოსკოლამ, მათ შორის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე ვორქშოფი, კინოჩვენებები და თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის პრეზენტაციაც. 18 მაისს, ფესტივალის დასკვნით საღამოს, საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, ფესტივალის გრან პრი გადაეცა ქართულ სტუდენტურ ფილმს „გზაგასაყარი“. ფილმის რეჟისორი გახლავთ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი ზურა დემეტრაშვილი, ხოლო ფილმი გადაღებულია „თიბისი“ ბანკის დაფინანსებით, – აღნიშნა ჯაბა სიხარულიძემ.

ამ მნიშვნელოვან წარმატებასთან დაკავშირებით საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მოეწყო გამარჯვებული ფილმის ჩვენება, რის შემდეგაც პორტუგალიიდან ჩამოტანილი პრიზი ახალგაზრდა კინორეჟისორს საზეიმოდ გადაეცა.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებთან ერთად აქტიურად განიხილავს ხელოვნებაში არსებულ აქტუალურ საკითხებს. გასულ კვირას უნივერსიტეტში საქართველოს სტუდენტთა მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.

– საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს სტუდენტთა მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თემატიკა ხელოვნების საკითხებს უკავშირდებოდა. კონფერენციამ თავი მოუყარა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, ტექნიკური უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებს, რომლებიც ხელოვნების სხვადასხვა დარგების ისტორიის და თეორიის შესწავლით არიან დაკავებულნი, – აღნიშნა თეატრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა.

მისივე თქმით, სტუდენტთა კონფერენცია საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველ წელს ტარდება. მას ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩაეყარა საფუძველი.

– პირველი კონფერენცია 2008 წელს გაიმართა. წელს კონფერენციაზე იმუშავეს ხელოვნებათმცოდნეობის, მუსიკისა და თეატრმცოდნეობის, კინოსა და მედიის სექციებმა. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვეობის საკითხებზე. ზოგადად, მნიშვნელობა ამგვარი სტუდენტური ფორუმებისა დიდია, რადგან ის სტუდენტებს ხელს უწყობს სწავლასა და წინსვლაში; საშუალებას აძლევს მათ, წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაეცნონ თანატოლების მიღწევებს, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში და დაამყარონ სტუდენტური კავშირები, – განაცხადა ჯაბა სიხარულიძემ.

კონფერენციის ორგანიზატორობა ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა ნატო გენგიურმა ითავა.

# ამერიკა ბაშარ ასადს მეტი სერიოზულობისკენ მოუწოდებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, აშშ, ევროპა და არაბული სამყარო გაზრდის სირიის ოპოზიციური ძალების მხარდაჭერას იმ შემთხვევაში თუ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი მეტი სერიოზულობით არ მიუდგება სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც ივნისში დაიწყება. საუბარია საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც იორდანიის დედაქალაქ ამანში გაიმართება. სირიის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე აშშ და რუსეთი რამდენიმე თვის წინ შეთანხმდნენ. კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი უკვე მრავალმა ქვეყნამ გამოთქვა.




ჯონ კერი ბაშარ ასადს მოუწოდებს სერიოზულად დაიწყოს თავის ქვეყანაში მშვიდობიანი პროცესებისთვის საჭირო გზების ძებნა. სახელმწიფო მდივნის განცხადებით, სიტუაციას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ სახელისუფლებო ძალების მხარეს, ირანის ისლამური რესპუბლიკის მხარდაჭერით, ტერორისტული დაჯგუფება „ჰეზბოლას“ ბოევიკები იბრძვიან.

ჟურნალი „შპიგელი“ იუწყება, რომ გერმანიის დაზვერვამ ფუნდამენტალურად შეცვალა თავისი თვალსაზრისი იმაზე, რაც სირიაში ხდება.

გამოცემის ინფორმაციით, ამ ცვლილებების შესახებ, საიდუმლო შეხვედრაზე ქვეყნის წამყვანი პოლიტიკოსების ინფორმირება დაზვერვის ხელმძღვანელმა გერხარდ შინდლერმა მოახდინა. ადრე შინდლერს საჯაროდ რამდენჯერმე გაუკეთებია იმის განცხადება, რომ ასადის რეჟიმის კოლაფსს 2013 წლის დასაწყისისათვის ელოდება.

იმ მომენტისათვის, როდესაც ამგვარი განცხადებები კეთდებოდა, გერმანელი ანალიტიკოსები ეყრდნობოდნენ იმას, რომ სირიის არმია ცუდად იყო აღჭურვილი საბრძოლო მასალით და დეზერტირობის მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა.

მაგრამ მას შემდეგ დრამატული ცვლილებები მოხდა. პოლიტიკოსებთან შეხვედრაზე შინდლერმა რუკები და გრაფიკული გამოსახულებები გამოიყენა, რომლებიც იმ ფაქტის დემონსტრირებას ახდენენ, რომ ასადმა მომარაგების ფინანსური გზების დალაგება შეძლო. ყველაზე მთავარი – რეჟიმი ახერხებს ახლა და იღებს საკმარისი რაოდენობის საწვავს ტანკებისათვის და ავიაციისათვის. ამას გარდა, მიუხედავად ასადის წარმატებებისა, გერმანული დაზვერვა ასევე მიიჩნევს, რომ მას არცთუ ისე ბევრი შანსი აქვს ამ ომში გამარჯვებისა, თუმცა მისი მდგომარეობა შესაძლოა არსებითად შეიცვალოს. ბოლო დღეების მოვლენები ზედაპირზეა და ადასტურებს შინდლერის შეფასებებს. ასადის არმია და „ჰეზბოლა“ უკვე რამდენიმე დღეა ქალაქ ალ-კასირისათვის იბრძვის. დაზვერვის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ „ყოველი ახალი ბრძოლა სულ უფრო და უფრო ასუსტებს მეამბოხეებს“ და რომ შესაძლოა 2013 წლის ბოლოსათვის ასადმა სირიის მთელს სამხრეთზე თავისი კონტროლი დაამყაროს.

თავის მხრივ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირის სხვა ქვეყნებს მოუწოდეს ისლამისტურ დაჯგუფება „ჰეზბოლას“ სამხედრო ფრთა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარონ.

როგორც ცნობილია, ამ შიიტური მოძრაობის შეიარაღებული მებრძოლები ამ დროისათვის სირიის სამთავრობო ძალების მხარეს იბრძვიან.

„ჰეზბოლას“, ასევე, ბულგარეთში ისრაელ ტურისტებზე თავდასხმაშიც ედება ბრალი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა განაცხადა, რომ პარიზი ძალიან არის შეშფოთებული იმ ფაქტით, რომ „ჰეზბოლას“ მებრძოლები სირიის მშვიდობიან მოსახლეობაზე აწყობენ თავდასხმებს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# გურამ ოდიშარიამ თბილისის წიგნის ფესტივალი გახსნა

პრეზენტაცია, მთავარი სცენა; 2012 წლის „100 ლექსი“-ს პრეზენტაცია, გამომცემლობა „ინტელექტი“, მთავარი სცენა; „დამლაგებელი“ – შეხვედრა ერეკლე დეისაძესთან, გამომცემლობა „სიესტა“, მთავარი სცენა; „ვეფხისტყაოსანი“ ირაკლი ოჩიაურის ილუსტრაციებით – წიგნის პრეზენტაცია და მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, გამომცემლობა „პალიტრა ელ“, მთავარი სცენა; „15 საუკეთესო მოთხრობის“ პრეზენტაცია და გამარჯვებულთა დაჯილდოება, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, მთავარი სცენა; ლიტერატურული პორტალის „ლიბრივივი.ჯი“-ს პრეზენტაცია, წიგნის მაღაზია ლიგამუსი; სტივენ კინგის წიგნების „მიზერი“ და „მწვანე ველი“ პრეზენტაცია, გამომცემლობა დიოგენე, წიგნის მაღაზია „დიოგენე“.

წიგნის ფესტივალზე გამომცემლობა „დიოგენე“ წარმოადგენს თავის სპეციალურ კატალოგს. იგი წიგნის საერთაშორისო ფესტივალისთვის საგანგებოდ დაიბეჭდა და მასში გაერთიანებულია პროექტები: სერია „ამერიკელები“, სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“, ნათარგმნი პროზა, ვიდეო-რევიუების კონკურსი და სხვა წიგნები.

ფესტივალის ფარგლებში გამომცემლობა „პალიტრა“ წიგნების ყველა სერიას აქციის ფასად გაყიდის.

– ეს აქციები ყველას ახსოვს – წიგნები პრესასთან ერთად განსაკუთრებულ ფასად. თუ რომელიმე ტომი გამოგრჩათ, არ გამოტოვოთ წიგნის ფესტივალი. ყველა წიგნი აქციის ფასად გაიყიდება, – აცხადებენ კომპანიაში.

ფესტივალის განმავლობაში „პალიტრა ელი“ ყოველდღიურად ფესტივალზე მისულ საზოგადოებას ახალ წიგნებს გააცნობს.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ახალი სლოგანით წარდგება: „მთელი მსოფლიო ჩვენს წიგნებში“.

– საფესტივალო პროგრამით გამომცემლობა აქცენტს აკეთებს წიგნის როლზე სხვადასხვა კულტურათა გაცნობისთვის და ფესტივალის ფარგლებში არაერთ ახალ თარგმანს წარუდგენს საზოგადოებას, – აცხადებს გამომცემლობის წარმომადგენელი სოფიო კილასონია.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებები ასეთია: გერმანული ლიტერატურის დღე; ანა კორძაია წაიკითხავს ნაწყვეტებს კორნელია ფუნკეს „ქურდების მბრძანებლიდან“; ახალი თარგმანების პრეზენტაცია. 24 მაისი: სკანდინავიური ქვეყნების ლიტერატურის დღე; შეხვედრა დიანა იანსესთან, საუბარი შვედურ ლიტერატურაზე, მისი ქართულად თარგმნის მნიშვნელობაზე და წიგნზე „ავლანური დღიურები“, თარგმნის ლიკა ჩაფიძე; ნორვეგიული ლიტერატურა – კახა ლორია – კნუტ ჰამსუნზე; თამარ კვიჟინაძე – ოსნე საიეშტადის შესახებ; საუბრობენ სტრინდბერგზე ბაკურ სულაკაური და ლიკა ჩაფიძე; „15 საუკეთესოს“ დაჯილდოება (დიდი სცენა). 25 მაისი: ფრანგულენოვანი ლიტერატურის დღე; „თანამედროვე ფრანგული რომანი“ – ჟილ კარასო, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი, საფრანგეთის ელჩის მრჩეველი კულტურისა და თანამშრომლობის საკითხებში; საუბრები ერიკ-ემანუელ შმიტზე და მიშელ უელბეკზე – ლაშა ბაქრაძე და მერაბ ფიფია; 26 მაისი: ქართული ლიტერატურის დღე; შეხვედრა მამუკა ხერხეულიძესა და ზურა ოდილავაძესთან – დისკუსია-პრეზენტაცია; შეხვედრა მარი ბექაურთან და ანინა ტეფნაძესთან – დისკუსია-პრეზენტაცია; ლაშა მილორავას წიგნის „ბაბუა ბუკოვსკის“ პრეზენტაცია – მოდერატორი მარი ბექაური; „ახალი ქართული კერძების“ და ფოტოალბომ „საქართველოს“ პრეზენტაცია – ნათია მონტგომერი – გოგა ჩანადირი.

თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ერთობლივი სტენდი „სამი ქვეყანა – ერთი ენა“.

– წელს გერმანია, ავსტრია და შვეიცარია ერთად, ერთობლივი სტენდით წარდგებიან თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალზე. საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი და ავსტრიის ბიბლიოთეკა თანამედროვე გერმანულენოვან საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას წარუდგენენ დამთვალიერებლებს, შვეიცარიის საელჩო კი ქვეყნის ოთხი ენობრივი არეალიდან 12 საინტერესო ახალ გამოცემას გააცნობს მათ. ჩვენს სტენდთან მოსულ ადამიანებს შეეძლებათ მონაწილეობა ვიქტორინაში, რისთვისაც საჭირო იქნება გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის შესახებ გარკვეული ცოდნის გამოვლენა. ოდნავ თუ გაგიმართლებთ კიდეც, შეძლებთ ერთი ტრიმესტრის განმავლობაში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის გერმანული ენის კურსზე უფასოდ სწავლას, ან მოიგებთ ჩვენი პრიზებიდან ერთ-ერთს. გვეწვიეთ წიგნის ფესტივალზე! აქ მიიღებთ ინფორმაციას საქართველოში ჩვენი საქმიანობის შესახებაც, – აღნიშნულია გოეთეს ინსტიტუტის ოფიციალურ განცხადებაში.

ფესტივალში ჩაერთვება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიც.

– ფესტივალზე შეგიძლიათ შეიძინოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვადასხვა გამოცემები და ღია ბარათები, ხოლო 24-25 მაისს პროფესიონალი კალიგრაფები ფესტივალის სტუმრებს შესთავაზებენ კალიგრაფიულ ნიმუშებს სხვადასხვა მასალაზე, მათ შორის, ქაღალდსა და კერამიკაზე.

პროექტის მიზანია ქართული კალიგრაფიის, როგორც ქართული ეთნოკულტურის უნიკალური მონაპოვრისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, როგორც ქართული დამწერლობის უნიკალური ნიმუშების უდიდესი საცავის პოპულარიზაცია.

ფესტივალის სტუმრებს სურვილის შემთხვევაში, კალიგრაფები შესთავაზებენ კალიგრაფიული ხელით გადაწერილ სახელთა ინიციალებს (საზედაო ასოები), სახელს სრულად, სასურველ პოეტურ სტროფებს. ასევე, ექნებათ საშუალება, მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები მელნითა და კალმით წერაში, დაწერონ სასურველი სტრიქონები ნუსხურით ან ასომთავრულით, – აცხადებენ ხელნაწერთა ცენტრში.

ფესტივალის ფარგლებში მომხმარებელს წიგნებს ფასდაკლებით შეძენის შესაძლებლობა ექნებათ, თუმცა, გასული წლის მსგავსად, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე აღარ მოხდება მაკულატურის ჩაბარება, როდესაც მაკულატურის ჩაბარების მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოუსადეგარი ქაღალდი ე.წ. ნერგებში – ქულებში გადაეცვალათ და სასურველი წიგნები შეეძინათ.

წიგნის ფესტივალამდე წიგნის გამომცემელთა ასოციაციამ კონკურსი გამოაცხადა. მათ მკითხველს მოუწოდეს დაეწერათ ერთგვერდიანი ტექსტი მათთვის საყვარელი ქართული რომანის შესახებ. რომანი გამოცემული უნდა იყოს 1991 წლიდან დღემდე. კონკურსის ორგანიზატორთა განცხადებით, საუკეთესო ხუთი ნამუშევარი გამოქვეყნდება მათ ფეისბუქ-გვერდზე, საუკეთესო ტექსტების ავტორები წიგნის ფესტივალის გახსნაზე დაჯილდოვდებიან 100 ლარიანი ვაუჩერით, რომლითაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წიგნების შეძენას შეძლებენ.

ფესტივალი დაიხურება 26 მაისს „პოეზიის ღამით“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თანამედროვე ქართველი პოეტები – რატი ამაღლობელი, შოთა იათაშვილი, ალექს ჩიღვინაძე, პაატა შამუგია და სხვა ცნობილი პოეტები.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 2. გამოძახილი ანუ ...; 3. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 4. წყლის მოსაპოვებლად გაჭრილი ვიწრო, ღრმა ორმო; 5. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 6. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 7. ხეხილის ბაღი; 10. ქართული ფული; 11. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 12. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 13. პურეული მცენარე; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. საჭმელი სოკო; 21. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 24. აფრიკული ცხოველი.

**თარაზულად**: 1. მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი, მოხატა უბისის მონასტერი; 3. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. პროვინციის მმართველი თურქეთში; 14. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 15. ვაშლის ქართული ჯიში; 17. სუფთა გამარჯვება ჭიდაობაში; 20. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 22. გაზაფხულის თვე; 23. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 26. ახალი თევზისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 26. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. კონგოს დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰამამი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კრკა; 6. ნუნისი; 8. კენკრა; 11. ზვიადაური; 13. პრომილე; 14. პოლიცია; 15. წირქოლი; 19. ტიკი.

**თარაზულად:** 1. ჰიპოპოტამი; 4. მარკონი; 7. მანტისა; 9. „ჟაკერია“; 10. ოზონი; 12. აშკენაზი; 16. ბარიტონი; 17. ლონდონი; 18. ვინიგრეტი; 20. რელიგია; 21. ლენი; 22. რეიტინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყორე; 2. ილი; 3. სერენადა; 4. კუ; 5. აკაპულკო; 6. ჩეხი; 7. სანდალი; 10. ბანა; 11. ტყვარჩელი; 12. დეკანოზი; 13. ცინი; 16. ოფელია; 18. რიტუალი; 19. ოპიუმი; 21. ჯუნტა; 24. მსაჯი.

**თარაზულად:** 1. ყარსალი; 3. „სუძუკი“; 8. სკლერა; 9. რაბი; 14. ონისე; 15. სინხუა; 17. კუბა; 20. დურაჯი; 22. კრონი; 23. პანამა; 25. სნო; 26. ლეხი; 27. პუმა; 28. ამპლიტუდა.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# გეგა კობახიძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსენეს

ადრე დაიწყო, თუმცა სამხატვრო განათლების მიღება ვერ შეძლო, რადგან მის ოჯახს ძვირადღირებული ფუნჯების, სალებავებისა და ტილოების ყიდვის საშუალება არ ჰქონდა. ხშირად ნამუშევრებს მეგობრების მიერ ნაჩუქარი მასალებით ქმნიდა.

მისი კინოკარიერა ჯერ კიდევ 5 წლის ასაკში დაიწყო, როცა რეჟისორმა ნანა მჭედლიძემ გადაიღო ფილმში „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“, რასაც მოჰყვა „ლაზარე“, „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“, „ჩიტის რძე“, „აურზაური სალხინეთში“, „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“. მთლიანობაში მან მხოლოდ 6 ფილმში მოასწრო მონაწილეობა, თუმცა მაყურებელს თავი განსაკუთრებულად დაამახსოვრა და შეაყვარა. მისი ერთ-ერთი დაუსრულებელი როლი თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“ თორნიკეს როლი იყო, თუმცა 1984 წელს 23 წლის მსახიობი თავის თანამოაზრეებთან ერთად დახვრიტეს. ცნობილია, რომ ყველა ერთ ოთახში დახვრიტეს, ერთმანეთის თვალწინ და როცა ჯერი გეგას დახვრეტაზე მიდგა, იარაღში ტყვია გაიჭედა. გეგას უკანასკნელი სიტყვები უთქვამს, „სროლაც არ შეგიძლიათ, თქვენი!“ „თვითმფრინავის ბიჭებს“ ჯერ სამშობლოს ღალატი ედებოდათ ბრალად, შემდეგ, არარსებული მასალების გამო, ეს ბრალდება მოეხსნათ და ტერორიზმის კვალიფიკაცია დარჩათ.

გეგა კობახიძის ფილმების ჩვენება და გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდული ორგანიზაცია „ფორევერის“, ეროვნული ბიბლიოთეკისა და ქალაქ თბილისის მერიის ორგანიზებით გაიმართა, რომელიც ღონისძიების „საქართველოს მოპოვებული, დაკარგული და აღდგენილი დამოუკიდებლობა – 1918-1991 წლები ფარგლებში ჩატარდა.

*ეკა ირემაშვილი*

# კბილაშვილი: „სააკაშვილის და მერაბიშვილის დროს იყო ალტერნატივა — ან გადაიხადე, ან იჯექი ციხეში“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იყო: „ეს სატელეფონო საუბარი არ არის“ — უბრალო ყარაული და დამლაგებელი, მასწავლებელი და გამყიდველი დარწმუნებული იყო, რომ უსმენდნენ. ტელევიზიით ლამის ყოველდღე ატრიალებდნენ სპეცსამსახურების მიერ ჩაწერილ აუდიო და ვიდეო-ჩანაწერებს ოპოზიციის პირადი ცხოვრებიდან. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყველას აკონტროლებდნენ“, — ამბობს კბილაშვილი.

***— როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლება წინა რეჟიმის გადახრების გამოსწორებას სერიოზულად შეუდგა. თუმცა ზოგიერ შემთხვევაში შეიძლება საუბარი არა „გადახრებზე“, არამედ დანაშაულებზე. ბევრ ყოფილ ფუნქციონერს აქვს შანსი, რომ გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს?***

— ჩვენ აღვძარით სისხლის სამართლის საქმეები ძველი ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელთა შორისაა ყოფილი მთავრობის ხუთი მინისტრი და თბილისის მოქმედი მერი გიგი უგულავა (მათ უნდა დავამატოთ მერაბიშვილი და ჭიაბერაშვილი.რედ.). მერის წინააღმდეგ საქმეს იძიებენ, ის ბრალდებულად არის ცნობილი. ბრალდება აქვს ასევე წაყენებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მოქმედ გუბერნატორს, თენგიზ გუნავას. მის საქმეზე სასამართლო პროცესი უკვე მიმდინარეობს. საინტერესოა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუნავა გუბერნატორად მას შემდეგ დანიშა, რაც მას ბრალდება წავუყენეთ. ეს უკანონო გადაწყვეტილებაა. კანონით, გამოძიების ქვეშ მყოფი ადამიანი სახელმწიფო მოსამსახურედ არ შეიძლება დაინიშნოს. გუნავა თავისუფლებაზე იმყოფება. სასამართლომ ის გირაოთი გაანთავისუფლა.

***— თითქოსდა, ანალოგიური ისტორია მოხდა უგულავას შემთხვევაში?***

— უგულავასადმი ბრალდების წარდგენით, ჩვენ მისი თანამდებობიდან გადაყენება და გირაოდ 1 მილიონი ლარის გადახდა მოვითხოვეთ. მაგრამ სასამართლომ ის საერთად გაანთავისუფლა რაიმე ვალდებულებების და გირაოს გარეშე და თანამდებობიდან არ ჩამოაშორა. ანუ, საერთოდ აღკვეთის ზომების გარეშე დატოვეს.

***— სასამართლოს ასეთი ქმედება რით არის მოტივირებული?***

— ვფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებულია. ჩვენში სასამართლო ხელისუფლება ისეთივე დარჩა, როგორიც არჩევნებამდე იყო. ადრე მოსამართლეებს მთლიანად აკონტროლებდა ნაციონალური მოძრაობის მთავრობა. არსებობს მოსაზრება, რომ მოსამართლეები ჯერ კიდევ ეხმარებიან ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამიტომ ყოფილ ჩინოვნიკებს წინასწარი პატიმრობისგან ათავისუფლებენ. სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა მხოლოდ ბაჩო ახალიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა. კიდევ სასამართლომ ორი მინისტრის დაუსწრებელ დაპატიმრებაზე გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც საქართველოს გარეთ იმყოფებიან. ესენია იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი. ყველა დანარჩენ შემთხვევებში, სასამართლომ ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებთან მიმართებაში ძალიან რბილი ზომები მიიღო. მაგალითად, განათლების ყოფილი მინისტრი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი თავისუფლებაზე ისე გამოვიდნენ, რომ გირაოდ მცირე თანხა გადაიხადეს.

***— რაშია ბრალდებული მერი უგულავა?***

— ის თავდაცვის ექსმინისტრ კეზერაშვილთან ერთად ბრალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონი დოლარის მითვისებაშა და ერთპიროვნულად 5 მილიონზე მეტის დატაცებაში. ამისთვის გათვალისწინებლია თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ხნით.

***— ამ საქმეში მოწმის სახით დაიკითხება თუ რა პრეზიდენტი?***

— ამ საქმესთან დაკავშირებით პრეზიდენტის ინფორმირებულობა დამტკიცებულია. ეს საკმარისი საფუძველია მისი მოწმის სახით გამოძახებისთვის.

***— ხოლო ბრალდებულის სახით პრეზიდენტი შეიძლება გამოიძახოთ?***

— ეს შეუძლებელია. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი იმუნიტეტით სარგებლობს. თუ მის მოღვაწეობაში არის დანაშაულის ნიშნები, თავდაპირველად იუსტიციის მინისტრმა პარლამენტს უნდა მიმართოს, ხოლო პარლამენტმა უნდა მიიღოს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების გადაწყვეტილება. ხოლო მოწმის სახით, ქართული კანონებით შეიძლება დაიკითხოს ნებისმიერი თანამდებობის პირი, პრეზიდენტის ჩათვლით.

***— ამასწინათ „საიდუმლო“ გრიფი მოეხსნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯებს, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტს ემორჩილებოდა. საკმაოდ პიკანტური ფაქტები წამოტივდივდა: აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო დაცვის ბიუჯეტის ხარჯზე პრეზიდენტი ერთობოდა, გახდომის პროცედურებს იტარებდა, ინახავდა მზარეულს და იხდიდა გოგონების და ჟურნალისტების მომსახურებას, მათ შორის იყო რუსი ჟურნალისტი ქსენია სოკოლოვა. აღიძვრება თუ არა ამასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე?***

— ფაქტთან დაკავშირებით საქმე უკვე აღძრულია. გამოძიებას შსს აწარმოებს. შეიძლება უკვე ვთქვათ, რომ განსაკუთრებით დიდ ოდენობებში სახელმწიფო სახსრების დატაცებასთან გვაქვს საქმე. გამოძიებამ იმ ადამიანების წრე უნდა დააზუსტოს, რომლებმაც აღნიშნული დანაშაული ჩაიდინეს.

***— გასულ შემოდგომაზე ჩვენ გაოგნებულნი ვიყავით პატიმრების წამების კადრებით ქართულ ციხეებში. მიმდინარეობს თუ არა ამასთან დაკავშირებით ძიება?***

— ამ ვიდეომასალების საფუძველზე აღძრულია საქმეები. ერთ-ერთს ახლა თბილისის სასამართლო განიხილავს. ამ საქმეზე დაკავებული იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე. თვითონ უფროსი ძებნაში იმყოფება. ამ საქმეში გადის 20 ბრალდებული და ასზე მეტი მოწმე. ასეთივე საქმე გვაქვს ქუთაისში, იქ 7 ბრალდებულია.

***— ბევრი მომართავს პროკურატურას იმ ადამიანებიდან, ვისი უფლებებიც წინა მმართველობისას დაირღვა?***

— ძალიან ბევრი. 5 თვის განმავლობაში ჩვენ დაახლოებით 20 ათასი განცხადება მივიღეთ.

***— შენარჩუნდება თუ არა საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა?***

— დიახ. საპროცესო შეთანხმებები, ნორმალური მოვლენაა. მაგრამ ის ბიუჯეტის შესავსებად და მოსახლეობის საძარცვავად არ უნდა იქნეს გამოყენებული. გადახდები ჩადენილი დანაშაულის თანაზომადი უნდა იყოს.

**რუბრიკა მოამზადა
გერა მამულაშვილმა**



# გაერო: ირანი ინტენსიურად ზრდის ბირთვულ პოტენციალს

გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს განცხადებით, ირანის ისლამური რესპუბლიკა უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაჩქარებული ტემპებით აგრძელებს საკუთარ ბირთვულ პროგრამას, რომლის მიზანს, საერთაშორისო თანამეგობრობის ვარაუდით, წარმოადგენს ბირთვული იარაღის შექმნა.

საერთაშორისო სააგენტოს ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წელს ირანმა დამატებით დაამონტაჟა 700 მაღალტექნოლოგიური დანადგარი, რომელიც ურანის გამდიდრებისთვისაა განკუთვნილი. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ სააგენტოს მცდელობა ოფიციალური თეირანისგან მიეღო დასაბუთებული პასუხები ირანის ბირთვული პროგრამის სამხედრო პოტენციალის საფრთხის არ არსებობის შესახებ წარუმატებლად დასრულდა.

ამავე დროს, საერთაშორისო სააგენტოს ანგარიში ხაზს უსვამს სიტუაციის მშვიდობიანად დარეგულირების ჯერ კიდევ არსებულ შესაძლებლობას. სააგენტოს ანგარიშის მიხედვით, ირანის მიერ გამდიდრებული ურანის რაოდენობა ჯერ-ჯერობით კვლავ მცირეა და ისრაელის მიერ გავლებული „წითელი ხაზის“ ქვემოთაა.

შეგახსენებთ, რომ ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, მას შემდეგ, რაც ირანის მიერ გამდიდრებული ურანის რაოდენობა მათ მიერ დაწესებულ „წითელ ხაზს“ აცდება, ისრაელის სახელმწიფო კონკრეტულ ქმედებებზე გადავა. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების განცხადებით, თეირანის ბირთვული პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებს ემსახურება.

ამ ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატები ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე ზეწოლას განაგრძობს, რათა აიძულოს ოფიციალური თეირანი, უარი თქვას ბირთვულ პრგრამაზე. ამის შესახებ სპეციალურ ბრიფინგზე, ვაშინგტონში თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯეი კარნიმ გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ანგარიშის კომენტირებისას განაცხადა.

„ჩვენ განვიხილავთ ანგარიშს. ფაქტია, რომ ირანი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ შექმნას ბირთვული იარაღი, ეს აშკარაა. ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთნა, რათა ვაიძულოთ ირანი, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულება და შეწყვიტოს ბირთვული პროგრამა“, — განაცხადა ჯეი კარნიმ.

„ამერიკამ მხარი უნდა დაუჭიროს ისრაელს, თუ ეს ქვეყანა იძულებული გახდა ირანის ბირთვული პროგრამის გასანეიტრალებლად სამხედრო ზომებს მიმართოს“, — აღნიშნულის შესახებ ამერიკის სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციაშია საუბარი.

დოკუმენტში, რომლის ავტორებიც, სენატორები რობერტ მენენდესი და ლინსი გრამი არიან, ხაზგასმულია რომ ეს ძალის გამოყენებაზე სანქციის გაცემას არ ნიშნავს, არამედ ისრაელის მხარდაჭერის გამოცხადებაა.

„თუ ისრაელი იძულებული გახდა სამხედრო ზომებს მიმართოს, ჩვენ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ, დავეხმაროთ ამ ქვეყანას საკუთარი ტერიტორიის, ხალხის და საკუთარი არსებობის დაცვაში“, — საუბარია დეკლარაციაში.

დოკუმენტი, რომელსაც იურიდული ძალა არ გააჩნია, ასევე შეიცავს მოწოდებას თეირანის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებასთან დაკავშირებით.

# ნიგერიაში ტერაქტებს ათი ადამიანი ემსხვერპლა



ნიგერიაში ორი ტერაქტის მსხვერპლი ათი ადამიანი გახდა. ჯერ უცნობია დაღუპულთა ეროვნება.

საფრანგეთის დიპლომატიური უწყების პრესმდივანმა ფილიპ ლალომ გარდაცვლილთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა: „საფრანგეთი გმობს ტერაქტებს, რომლებიც ნიგერიის არმიისა და არლიტში ურანის საბადოს თანამშრომლების წინააღმდეგ განხორციელდა, რომელსაც ფრანგული კომპანია ამუშავებს“.

დანაღმულ მანქანებში მყოფმა თვითმკვლელებმა ტერაქტები ქალაქებში აგადასსა და არლიტში მოაწყვეს. აგადასში ტერორისტების სამიზნე სამხედრო ყაზარმა გახდა.

ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ მიმდინარეობს მოკვლევა. ჯერ-ჯერობით უცნობია ვინ ჩაიდინა დანაშაული, ამ დრომდე არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია.

# „ფორბსმა“ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალბატონები დაასახელა



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სიის სათავეშია ჟურნალ „ფორბსის“ რეიტინგში.

რეიტინგით მეორე ადგილზეა ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი, მესამე ადგილს იკავებს ბილ გეიტსის მეუღლე მელინდა გეიტსი.

მეოთხე და მეხუთე პოზიციებზე არიან მიშელ ობამა და ჰილარი კლინტონი.

მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალის რეიტინგის ასეულში მოხვდნენ ანჯელინა ჯოლი, ტელეწამყვანი ოპრა უინფრი, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე, მომღერლები ლედი გაგა და შაკირა.

ამერიკული ფინანსურ-ეკონომიკური ჟურნალი „ფორბსი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული ეკონომიკური ბეჭდვითი გამოცემაა. ჟურნალი 1917 წელს ბერტი ჩარლზ ფორბსის მიერ დაარსდა.

# სამგლოვიარო განცხადებები

## პოლიკო მათითაიშვილის მონატრება

მეორედ მოვიდა, პოლი, 24 მაისი უშენოდ. შენი, ჩემი, ნინოსა და დედას დაბადების დღე, რომელიც ჩვენთვის უდიდესი ბედნიერების, სიხარულისა და ჟრიამულის დღე იყო.

დამთავრდა, პოლი, შენთან ერთად ყველაფერი დამთავრდა. დაგვრჩა შენი ხსოვნა და საფლავი, რომელსაც ყოველ 24 მაისს ცრემლითა და ყვავილებით ავავსებთ ხოლმე.

ასე იქნება მუდამ, სანამ ვიქნებით, მერე კი...

*შენი მაიკო*



უშენოდ ვხვდებით 24 მაისს — შენს დაბადების დღეს, პოლი! არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. დრომ შენი წასვლის ტკივილს გაუსაძლისი მონატრება დაუმატა მხოლოდ. შენს საფლავთან შევიკრიბებით შენი გატანჯული მშობლები, დები, მეზობლები, მეგობრები, ნათესავები. ცრემლებად იწვიმებს შენი მოგონება, ყვავილებით მოგირთავთ საფლავს, სანთლებად დავანთებთ შენზე ლოცვას... და სანუგეშოდ ისღა დაგვრჩება, რომ იქ, უცხოეთში, დინების საწინააღმდეგოდ დადის შენი სისხლი და გენი — შენი 6 წლის ელენიკო და ყველას უმტკიცებს, რომ ამაყი, ლამაზი, თავისუფალი, ნიჭიერი მამისა და ქვეყნის შვილია.

*მიყვარხარ, შენი ზიზი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი
24 მაისი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „ წყალქვეშა ომების წარმოების წესი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „კურთხეულ იყვნენ ცხოველები და ბავშვები„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 „არგუმენტების დრო„ 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ მე-2 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ „მოწინააღმდეგე მხარეები„ (ო.ტაბაკოვი) 02.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ხარება და გოგია„ II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ „ქართული კალათბურთი„ 11.00 დოკ/ფ „ფუტკრის დუმილი„ 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 13.25 კონცერტი - საოპერო მუსიკის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 მოკ/ფ „კავკასიური რომანსი„ 16.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.35 საუბრები ლიტერატურაზე 17.05 კონცერტი - მალერის V სიმფონია 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ „მონანიება„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „პიანისტი„ ალექსანდრე კორსანტია 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 მაისი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,636 |
| ევრო | 2,1153 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,4692 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2389 |

## ამინდის პროგნოზი 24 მაისისთვის





# 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

### ტომი 2

## ჩეხური ზღაპრები




### უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

### გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# კბილაშვილი: „სააკაშვილის და მერაბიშვილის დროს იყო ალტერნატივა — ან გადაიხადე, ან იჯექი ციხეში“

არჩილ კბილაშვილმა „მოსკოვსკი კომსომოლეცს“ უამბო ყოფილი ჩინოვნიკების საქმეების გამოძიებაზე, პატიმრების წამებასა და „მიშას“ პროკურატურაზე, საიდანაც მხოლოდ ერთი გზა იყო დარჩენილი – ციხეში.

საქართველოს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილთან ინტერვიუ საქართველოში ბოლო ხმაურიან მოვლენებამდე შედგა. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის ორი უახლოესი თანამებრძოლი, ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი და კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი დააკავა. მეორე დღეს გუბერნატორი გირაოთი გაათავისუფლეს, ხოლო მერაბიშვილისთვის ქუთაისის საოლქო სასამართლომ აღკვეთის ზომად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეარჩია.



ჩვენი საუბარი ბატონ კბილაშვილთან იმით დაიწყო, რომ პროკურორი დაინტერესდა: ძლიერ შეიცვალა თუ არა ქვეყანა ჩემი ბოლო ჩამოსვლის შემდეგ? პატიოსნად ვუპასუხე, რომ ხელისფლების შეცვლამდე ჩემი წინა მივლინება საქართველოში მთლად სასიამოვნო არ ყოფილა, რადგან თბილისში დაუფარავად ვიღაც ადამიანები დამყვებოდნენ. სამაგიეროდ, ახლა ქვეყანაში სიტუაცია შესამჩნევად შეცვილია: დაძაბულობა გამქრალია. დიდი ხანია არ მინახია ასეთი მხიარული, კეთილგანწყობილი და უდარდელი ქართველები. თითქოს ადამიანებმა რაღაც ტვირთი მოიშორეს.

„დიახ, წინა ხელისუფლებისას ადამიანები გრძნობდნენ, რომ ტოტალური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყველაზე გავრცელებული ფრაზა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# გია ყანჩელზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს




ქართველ კომპოზიტორ გია ყანჩელზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. „გია ყანჩელის სევდა ნათელი“ – ასე ეწოდება ნამუშევარს, რომლის ჩვენებაც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით შედგა.

დოკუმენტური ფილმი ასახავს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ცხოვრების იმ ნაწილს, რომელიც კომპოზიტორმა სამშობლოდან შორს, ევროპაში გაატარა. ფილმის ძირითადი ნაწილი ეთმობა მისი სიმფონიური ნაწარმოების „სევდა ნათელი“ ბელგიურ პრემიერას, რომელიც 2011 წელს შედგა ბრიუსელში.

გია ყანჩელი უკვე წლებია ანტვერპენში ცხოვრობს, თუმცა კავშირი საქართველოსთან და რუსთაველის თეატრთან არასდროს გაუწყვეტია. მას ეკუთვნის რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისათვის შექმნილი მუსიკა „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“, „ქალი-გველი“, „მეთორმეტე ღამე“.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# გეგა კობახიძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსენეს



მსახიობი გეგა კობახიძე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიხსენეს. სპეციალურად ამ დღისთვის ბიბლიოთეკაში გეგა კობახიძის ნახატების გამოფენა გაიმართა.

გამოფენის პარალელურად, ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში ნაჩვენები იყო ფილმი გეგა კობახიძის მონაწილეობით „ლაზარეს თავგადასავალი“.

ღონისძიების ფარგლებში დაიგეგმა კინოჩვენება „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ და „აურზაური სალხინეთში“.

გეგა კობახიძე იმ გახმაურებული საქმის მონაწილეა, რომელიც თვითმფრინავის გატაცების სახელით არის ცნობილი. ამ პროცესებში მონაწილეებს კი „თვითმფრინავის ბიჭები“ ეწოდათ. 1984 წელს ახალგაზრდების ჯგუფმა სცადა, თვითმფრინავის გატაცებით თავი დაეღწიათ საბჭოთა რეჟიმისგან, თუმცა საბოლოოდ მათ ამ რეჟიმს საკუთარი სიცოცხლე შესწირეს.

გეგა კობახიძე ცნობილი კინორეჟისორის მიხეილ კობახიძისა და მსახიობ ნათელა მაჭავარიანის ერთადერთი შვილი იყო. მას, მშობლების მსგავსად, უყვარდა კინო, თეატრი, ხატვა, მუდმივად მეგობრების გარემოცვაში იყო. თეატრისადმი ინტერესი ძალიან პატარამ გამოავლინა, საკუთარ სახლში მინითეატრი მოაწყო და მას „სერგო ზაქარიაძის სახელობის თეატრი“ უწოდა. გეგა კობახიძემ ხატვაც

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 24 მაისისთვის

**ვერძი** — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ. **კურო** — სხვებზეც იზრუნეთ, ნუ იქნებით ეგოისტი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — არ დაიგვიანოთ, ის ყოველთვის არ დაგელოდებათ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, საინტერესო ამბავია მოსალოდნელი. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **მორიელი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, გელით სიურპრიზი. **მერწყული** — არ გადაიღალოთ, თქვენს თავზეც იფიქრეთ. **თევზები** — სახლთან ახლოს იტრიალეთ, შორს ნუ გაემგზავრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# ავთო ვარაზის ნამუშევრები ახალ გალერეაში გამოიფინება

ქართველი მხატვრის ავთო ვარაზის ნამუშევრები ახალ გალერეაში გამოიფინება. „ოფთალმიჯი არტ გალერეა“ – ასე ეწოდება საგამოფენო სივრცეს, რომელიც ქართული სახვითი ხელოვნების ძველ თუ თანამედროვე საუკეთესო წარმომადგენლებს დაუთმობს თავის სივრცეს.



24 მაისს თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ შენობაში საზეიმოდ გაიხსნება ახალი საგამოფენო გალერეა. პირველ ექსპოზიციაზე გალერეაში XX საუკუნის ქართული ფერწერის ძალზე საინტერესო ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი – გამოიფინება კერძო კოლექციაში დაცული 20 მხატვრის 40 ნამუშევარი, გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან 70-იანი წლების ჩათვლით.

საპრეზენტაციო ექსპოზიციაზე გამოიფინება ყველასათვის ცნობილ მხატვართა ნამუშევრები – ავთო ვარაზი, სერგო ქობულაძე, დავით კაკაბაძე, ქეთევან მაღალაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, კირილ ზდანევიჩი, მოსე თოიძე... ტილოების უმეტესობას დამთვალიერებელი პირველად იხილავს.

ავთო ვარაზი ხელოვნებათმცოდნეების მიერ მიჩნეულია გამორჩეულ ფიგურად ქართული მხატვრობის ისტორიაში. ის პირველი იყო, ვინც პოპ-არტის სტილში დაიწყო მუშაობა. მისი ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ სრულიად ახალ მხატვრულ მეთოდებს მიმართა, რითიც სიახლე შეიტანა იმ პერიოდის ქართულ მხატვრობაში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# არველაძეს ჟორდანია ეპატიჟება



დიდი ალბათობით, ქართველი სპეციალისტი შოთა არველაძეს არნემის „ვიტესში“ გადავა. შოთას კარგი ურთიერთობები რომ აქვს არნემული კლუბის მეპატრონე მერაბ ჟორდანიასთან, ახალი ამბავი არ არის და სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ არველაძე მისთვის კარგად ნაცნობ ჰოლანდიას დაუბრუნდება.

არველაძის ჰოლანდიაში გადასვლის შესახებ თურქული, ჰოლანდიური და ბრიტანული გაზეთები წერენ, თუმცა მის გარდა კიდევ გაიჟღერა გვარებმა – დროებით უმუშევარი ლეგენდარული რუუდ გულიტი, რობერტ მაასკანტი (გრონინგენი) და პეტერ ბოში (ჰერაკლესი).

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფრედ რუტენი „ვიტესის“ მწვრთნელის პოსტს დატოვებს. მართალია, მერაბ ჟორდანიას კლუბმა სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა და 4 ტურით ადრე ჩემპიონობის შანსიც ჰქონდა, მაგრამ მაინც... ჰოლანდიური პრესის ცნობით, დიდი ალბათობით, რუტენი „ტვენტეში“ წავა, სადაც წლების წინ საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა.

ვნახოთ, რამდენად რეალურია შოთას „ვიტესში“ წასვლა.

მ. ჟ.

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. ფრანგი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე, კინორეჟისორი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ისრაელის პარლამენტი; 14. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად**: 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განლაგებული; 7. ფორმალური წესების დამცველი, მეწვრილმანე ადამიანი; 9. საყოველთაოდ ცნობილი გაცვეთილი ჭეშმარიტება; 10. სააღდგომო ნამცხვარი; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ქალაქი კახეთში; 17. სამეფო რეზიდენცია საფრანგეთში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 21. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 22. ირანის საინფორმაციო სააგენტო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

